რჩეულნი — დეპუტატობის კანდიდატებად!

დაიწყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 93 (13487) | კვირა, 24 აპრილი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

სურათზე: თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის კოლექტივის წინასაარჩევნო კრება. ტრიბუნაზეა ქარხნის დირექტორი გ. სამხარაძე.
ფოტო მ. დავითაშვილისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ერთსულოვნებისა და შეკავშირების ვითარებაში

დაიწყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება

საარჩევნო კამპანიაში ახალი ეტაპი დადგა: 23 აპრილს დაიწყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება.

ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების ამ უმაღლესი ორგანოს არჩევნებისათვის მზადება დიდი პატრიოტული აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობს. ქალაქებისა და სოფლების მშრომელები თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებით, რომელმაც დასახა კომუნისტური მშენებლობის შემდგომი გზები.

მოსკოვი

კრასნოხოლმის კამვოლის კომბინატის კოლექტივის კრებაზე პირველად სიტყვა მიეცა მქსოველს ა. ა. აქსიონოვას.

ჩემი წინადადებაა, თქვა მან, უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქში დავასახელოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი.

კრებამ ერთხმად დაადგინა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელონ ლ. ი. ბრეჟნევი.

წინასაარჩევნო კრებები გაიმართა აგრეთვე ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უდიდეს საკონდიტრო საწარმოში — ფაბრიკა „წითელ ოქტომბერში“ და საბჭოთა კავშირის ელექტრომექანიკის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში. აქაც გადაწყდა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელონ ლ. ი. ბრეჟნევი.

...საამქროში ჰკიდია ტრანსპარანტები: „განვახორციელოთ სკკპ XXIII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები!“ „ავირჩიოთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად საბჭოთა ხალხის საუკეთესო წარმომადგენლები!“ აქ შეიკრიბნენ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელობის ელექტრომექანიკური ქარხნის მუშები.

ტრიბუნაზეა ქარხნის ზეინკალი, სკკპ XXIII ყრილობის დელეგატი ს. ა. ანტონოვი. მას წინადადება შემოაქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მოსკოვის საქალაქო საარჩევნო ოლქში დაასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ალექსი ნიკოლოზის-ძე კოსიგინი.

კრებამ ერთხმად დაადგინა დაასახელოს ა. ნ. კოსიგინი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

ა. ნ. კოსიგინი ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა კრებამ, რომელიც ბაბაევის სახელობის საკონდიტრო ფაბრიკის კლუბში გაიმართა, აგრეთვე მოსკოვის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის კოლექტივმა.

თამბაქოს ფაბრიკის „იავის“ კოლექტივის კრებაზე სიტყვა წარმოთქვა თამბაქოს საამქროს მუშამ ვ. ი. სავცევამ. მან წინადადება წამოაყენა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნიკოლოზ ვიქტორის-ძე პოდგორნი.

კრებამ ერთხმად გადაწყვიტა დაასახელოს ნ. ვ. პოდგორნი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მოსკოვის ლენინგრადის საარჩევნო ოლქში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად დაასახელეს ნ. ვ. პოდგორნი აგრეთვე მანქანათსაშენებელი ქარხნის „შრომის დროშის“, საავტომობილო-საგზაო ინსტიტუტის სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის საერთო კრებებმა.

ქარხანა „წითელი პროლეტარის“ მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა საერთო კრებამ ერთსულოვნად დაასახელა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ზეინკალი სოციალისტური შრომის გმირი ვიქტორ ვასილის-ძე ერმილოვი.

მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა, მასწავლებელთა, ასპირანტთა, სტუდენტთა, თანამშრომელთა კრებამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მოსკოვის ლენინის საარჩევნო ოლქში დაასახელა გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი-მათემატიკოსი მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორი აკადემიკოსი ივანე გიორგის-ძე პეტროვსკი.

ლენინგრადი

ბალტიის ქარხნის ათასობით გემთმშენებელი შეიკრიბა თავიანთ წარმომადგენელთა დასახელებლად. სიტყვას ამბობს სოციალისტური შრომის გმირი ვ. ა. სმირნოვი. მქუხარე ტაშით ხვდებიან კრების მონაწილენი მის წინადადებას, რომ ბალტიის ქარხნის კოლექტივის სახელით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელონ ლ. ი. ბრეჟნევი.

ვ. ა. სმირნოვის წინადადებას მხურვალედ დაუჭირა მხარი საამქროს უფროსის მოადგილემ ს. ვ. მუხანოვმა. მან აგრეთვე წინადადება წარმოაყენა კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელონ საწარმოს ხარატი ალექსი ვასილის-ძე ჩუევი;

კიროვის ქარხნის კოლექტივის საერთო კრებაზე გამოვიდა ბუფერებისა და სამარჯვების საამქროს ზეინკალი ნ. გ. კარტაშოვი. მან წინადადება წამოაყენა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად კიროვის საარჩევნო ოლქში დაასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მიხეილ ანდრიას-ძე სუსლოვი.

ლენინგრადის ოპტიკა-მექანიკური გაერთიანების მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა საერთო კრებამ ერთხმად გადაწყვიტა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ლენინგრადის საქალაქო საარჩევნო ოლქში დაასახელოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე შელეპინი.

კრასნოდარის მხარე

კორენოვსკის რაიონის ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის 700-ზე მეტი კოლმეურნე შეიკრიბა კლუბში. მათ ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი კოლმეურნეობის თავმჯდომარის ვ. ს. სობოლენკოს წინადადებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად კრასნოდარის საარჩევნო ოლქში დაასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დიმიტრი სტეფანეს-ძე პოლიანსკი.

ნოვოსიბირსკის ოლქი

საინსტრუმენტო ქარხნის მუშათა კრებამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების ნოვოსიბირსკის ოქტომბრის საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გენადი ივანეს-ძე ვორონოვი.

კარგატის რაიონის პერვომაისკის საბჭოთა მეურნეობის მუშებმა, კოლივანის რაიონის არტელ „ოქტომბრის 40 წლისთავის“ კოლმეურნეებმა და კოჩენევის რაიონის „სოფლტექნიკის“ რაიონული განყოფილების მოსამსახურეებმა კავშირის საბჭოს არჩევნების ჩულიმის საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ნ. კოსიგინი, მ. ა. სუსლოვი და პერვომაისკის საბჭოთა მეურნეობის მუშა ნინო მარკოზის ასული ბარიშევა — ოლქის საუკეთესო მწველავი, უპარტიო, ორდენოსანი, კარგატის რაიონული საბჭოს დეპუტატი.

სვერდლოვსკის ოლქი

ურალის ქიმიური მანქანათმშენებლობის ქარხნის მოედანზე ათასობით კაცი შეიკრიბა. კრებამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელა ლ. ი. ბრეჟნევი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ანდრია პავლეს-ძე კირილენკო.

ურალის მანქანათსაშენებელი ქარხნის კოლექტივმა ერთხმად გადაწყვიტა კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად სვერდლოვსკის ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქში დაასახელოს ლ. ი. ბრეჟნევი და ურალის მანქანათსამშენებლო ქარხნის მჭედელთა ბრიგადირი ალექსანდრე მათეს ძე ვერეშჩაგინი.

ირბიტის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „სამშობლოს“ საერთო კრებაზე კოლმეურნეებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ირბიტის საარჩევნო ოლქში დაასახელეს ა. ნ. კოსიგინი და კოლმეურნეობის საუკეთესო მწველავი ვალენტინა ალექსის ასული ხინკინა.

უკრაინის სსრ

ზუსტი ელექტროხელსაწყოების ქარხნის კულტურის სასახლის დიდ დარბაზში შეიკრიბნენ ამ საწარმოს მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები. სიტყვა ეძლევა ზეინკალს ვ. გ. კორობეინიკოვს.

— წინადადება შემომაქვს, — თქვა მან, — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დავასახელოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი პეტრე ექვთიმეს-ძე შელესტი.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად დაადგინეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად კიევის — ჟოვტნევის საარჩევნო ოლქში დაასახელონ პ. ე. შელესტი.

პ. ე. შელესტის კანდიდატურა დაასახელა აგრეთვე კიევის ლენინის ორდენოსანი პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა, პროფესორ-მასწავლებელთა და მოსამსახურეთა კრებამ.

დარნიცის აბრეშუმის კომბინატის მშრომელებმა გადაწყვიტეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად კიევის — დარნიცის საარჩევნო ოლქში დაასახელონ საწარმოო სწავლების ინსტრუქტორი ირაიდა სიმონის ასული მეტელსკაია.

ნ. ვ. პოდგორნი და ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის ხარატი ნიკოლოზ იაგორის-ძე მიროშნიჩენკო დაასახელეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ხარკოვის საქალაქო საარჩევნო ოლქში.

ხალხის კანდიდატები

ქართველმა ელმავალმშენებლებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს

ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი,
გურამ შალვას-ძე ჩადუნელი.

გაზაფხული ბუნების გამოღვიძებას, სიცოცხლესა და ფერთა სიუხვეს ზეიმობს. ლაღობს, სიცოცხლეს შეჰხარის ადამიანი. საბჭოთა ადამიანმა იცის, რომ თვითონ არის ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა ბატონ-პატრონი. თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის სახელოვანი კოლექტივი თავდადებით შრომობს ხუთწლიანი გეგმის პირველი წლის ამოცანების შესასრულებლად. ელმავალსამშენებლო ქარხნის საამქროებს და შენობებს ამშვენებს წითელი ტრანსპარანტები, რომლებზეც წარწერაა: „მეტი ელმავალი სამშობლოს!“, „ვიბრძოლოთ სკკპ XXIII ყრილობის მიზანდასახულობათა შესასრულებლად!“.

გუშინ ელმავალსამშენებლო ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსთა პერსონალმა ახალი შრომითი წარმატებები უძღვნეს დედა-სამშობლოს. გამოშვებულია ზეგეგმითი ელმავლები. აქ დაძაბული ენერგიით შრომობენ, რათა ახალ-ახალი წარმატებები მოიპოვონ ხუთწლედის პირველ წელს.

შრომაში გამარჯვებული ქარხნის მთელი კოლექტივი ამწყობ საამქროში შეიკრიბა. ისინი მოვიდნენ აქ, რათა განახორციელონ საბჭოთა კონსტიტუციით მინიჭებული დიადი უფლება — წამოაყენონ თავიანთი კანდიდატები სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებისადმი მიძღვნილი წინასაარჩევნო კრება გახსნა ამავე ქარხნის კომიტეტის თავმჯდომარემ მ. ღვალაძემ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ ინფორმაციით გამოვიდა ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი პ. გურული.

სიტყვას იღებს კომუნისტური შრომის ბრიგადირი ზეინკალი გ. აბიაშვილი.

— შესანიშნავ დღეებში ვცხოვრობთ, — ამბობს ორატორი, — საბჭოთა ხალხი უკვე შეუდგა ხუთწლედის პირველი წლის ვალდებულებათა შესრულებას, რაშიაც თავისი წვლილი შეაქვს ჩვენი ქარხნის კოლექტივსაც. დღეს ჩვენ შევიკრიბეთ აქ იმისათვის, რომ დავასახელოთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის ჩვენი კანდიდატები. ჩვენი ქარხნის მრავალრიცხოვანი კოლექტივის სახელით წინადადება შემომაქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის ლენინის № 161 საარჩევნო ოლქში წამოყენებულ იქნას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი.

ამ წინადადებას დამსწრენი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ. სიტყვა ეძლევა თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის დირექტორს გ. სამხარაძეს. მან მხარი დაუჭირა წინადადებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის დასახელების შესახებ და ამასთან წინადადება შეიტანა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის ლენინის № 161 საარჩევნო ოლქში დასახელებულ იქნას ცნობილი ქართველი ზეინკალი, კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი გურამ შალვას-ძე ჩადუნელი.

— გურამ ჩადუნელს, — ამბობს დირექტორი, — თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხნის მოწინავე მუშას, ყველა იცნობს არა მარტო ჩვენს კოლექტივში, არამედ მთელ ჩვენს რესპუბლიკაში, როგორც ენერგიულ, კეთილსინდისიერ, საქმის მცოდნე, თავმდაბალ ადამიანს. ბრიგადა, რომელსაც იგი უძღვება, რამდენიმე წელია ღირსეულად ატარებს კომუნისტური შრომის ბრიგადის მაღალ წოდებას. გურამ ჩადუნელი და მისი ბრიგადის წევრები ყოველთვის მოწინავეთა რიგებში დგანან.

ტრიბუნაზეა გ. ჩადუნელის კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრი ზეინკალი მ. ფოფხაძე. მან მხარი დაუჭირა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევისა და გურამ შალვას-ძე ჩადუნელის წამოყენებას. აგრეთვე ილაპარაკა გ. ჩადუნელის შრომითი საქმიანობის შესახებ, რასაც იგი ბრიგადაში ეწევა.

წამოყენებულ კანდიდატურებს მხარი დაუჭირეს საიარაღო საამქროს ზეინკალმა ბ. მაზნიძემ, ქარხნის მთავარმა კონსტრუქტორმა ე. ამირაგოვმა, ამწყობი საამქროს განმანაწილებელმა ზ. ამბოკაძემ, სააპარატო საამქროს უბნის უფროსმა ე. იზაკოვიჩმა.

კრებამ ერთხმად დაადგინა წამოყენებულ იქნან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ქ. თბილისის ლენინის № 161 საარჩევნო ოლქში ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი და გურამ შალვას-ძე ჩადუნელი და ეთხოვოს მათ კენჭი იყარონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ქ. თბილისის ლენინის № 161 საარჩევნო ოლქში.

ქუხს ტაში, რითაც კრების მონაწილეებმა თავიანთი ერთსულოვნება და ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო დარაზმულობა გამოხატეს.

კრებამ აირჩია წარმომადგენლები მშრომელთა წინასაარჩევნო თათბირზე დასასწრებლად.

ამომრჩეველთა ნება

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელა

ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი.
გრიგოლ ელეფთერის-ძე სეფისკვერაძე.

რუსთავი. (საქ. კორ.). მეტალურგიული ქარხნის სააქტო დარბაზში გაიმართა წინასაარჩევნო კრება, რომელიც გახსნა საქარხნო პარტიული კომიტეტის მდივანმა კ. ბაქრაძემ. იგი სიტყვას აძლევს ქარხნის დირექტორს ს. შარაძენიძეს. ამხ. ს. შარაძენიძემ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რუსთავის № 688 საარჩევნო ოლქში დაასახელა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი.

ს. შარაძენიძის წინადადებას დარბაზში მსხდომნი მქუხარე ოვაციით შეხვდნენ.

შემდეგ სიტყვას იღებს მარტენის საამქროს უფროსის მოადგილე შ. კუხალეიშვილი, რომელიც მხარს უჭერს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის წამოყენებას და ამავე დროს მარტენის საამქროს კოლექტივის სახელით ამავე საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად ასახელებს ფოლადის დნობის ოსტატს გრიგოლ ელეფთერის-ძე სეფისკვერაძეს.

დეპუტატობის კანდიდატების წამოყენებას მთელი ქარხნის კოლექტივი დიდი სიხარულით შეხვდა.

კრებამ აირჩია წარმომადგენლები საოლქო წინასაარჩევნო კრებაზე დასასწრებლად.

დიდი ნდობა

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელა

ალექსი ნიკოლოზის-ძე კოსიგინი,
ეთერ ბეგლარის ასული სოლომონია.

გუშინ დიდი ზეიმი იყო თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში. აქ შეიკრიბნენ საწარმოს მუშა-მოსამსახურეები, რათა განეხორციელებინათ საბჭოთა კონსტიტუციით მინიჭებული უფლება — დაესახელებინათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები.

ტრიბუნაზეა საწარმოს მთავარი ინჟინერი შ. კაკაურიძე. — არჩევნებისათვის მზადება, — თქვა მან, — მიმდინარეობს ღირსშესანიშნავ დღეებში, როცა მთელ ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო ფართო ფრონტით ჩაღდება თავდადებული და გმირული შრომა სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის. დღეს აქ შევიკრიბეთ იმისათვის, რომ დავასახელოთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების კანდიდატები, თქვა მან და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის ორჯონიკიძის რაიონის № 678 საარჩევნო ოლქში დაასახელა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ალექსი ნიკოლოზის-ძე კოსიგინი.**

ამომრჩევლები ამ წინადადებას ერთსულოვნად შეხვდნენ და თავიანთი თანხმობა მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით გამოხატეს.

საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარემ მ. ჩიტიძემ და პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილემ რ. გობრონიძემ მხურვალედ დაუჭირეს მხარი წინადადებას, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელონ ამხანაგი ალექსი ნიკოლოზის-ძე კოსიგინი.

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მრავალათასიანი კოლექტივის სახელით სიტყვას ამბობს საქსოვი წარმოების უფროსი თ. მიქელაძე. მისი წინადადებაა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის ორჯონიკიძის № 678 საარჩევნო ოლქში დაასახელონ წარჩინებული მქსოველი, სოციალისტური შრომის გმირი **ეთერ ბეგლარის ასული სოლომონია.**

კრებაზე გამოსულთა წინადადებას აღფრთოვანებით დაუჭირა მხარი საწარმოო სწავლების ინსტრუქტორმა თ. კალძემ. მან კრების ყველა დამსწრის ფიქრები გამოხატა, როცა თქვა:

— ჩვენ ყველანი სულით და გულით მივესალმებით და მხარს ვუჭერთ წინადადებას, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დავასახელოთ ეთერ ბეგლარის ასული სოლომონია. დარწმუნებული ვართ, რომ იგი კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის ღირსეული კანდიდატი იქნება.

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა საერთო კრებამ ერთხმად დაადგინა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად თბილისის ორჯონიკიძის № 678 საარჩევნო ოლქში დასახელებულ იქნან ალექსი ნიკოლოზის-ძე კოსიგინი და ეთერ ბეგლარის ასული სოლომონია.

საუბარი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

23 აპრილს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა საბჭოთა კავშირში მყოფი სირიის არაბთა რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის მეთაურს, სირიის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრსა და არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ხელმძღვანელობის წევრს იუსეფ ზუეინს.

მეგობრული საუბრის დროს იუსეფ ზუეინმა ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ იბრძვის არაბი ხალხი იმპერიალიზმის წინააღმდეგ, არაბთა ერთობის მიღწევისათვის, თუ რა მუშაობას ეწევა არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტია იმისათვის, რომ შეაკავშიროს სირიისა და მთელი არაბული სამყაროს პროგრესული პატრიოტული ძალები მშრომელი მასების ინტერესებისათვის, ისეთი საზოგადოების მშენებლობისათვის, რომელსაც საფუძვლად დაედება სახალხო დემოკრატია. არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიას თავის ამოცანად მიაჩნია შექმნას სოციალიზმის გზით სირიის განვითარების საჭირო წანამძღვრები.

ლ. ი. ბრეჟნევმა საპატიო სირიელ სტუმარს გააცნო ამას წინათ დამთავრებული სკკპ XXIII ყრილობის მუშაობა, საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა, რომელიც სსრ კავშირში კომუნისტური მშენებლობის პროგრამას ახორციელებს. მან კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ სირიის პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელები გაგებით ეკიდებიან იმ დიად ისტორიულ როლს, რომელსაც მშრომელი მასები და სახალხო ორგანიზაციები ასრულებენ სოციალისტურ საწყისებზე საზოგადოების გარდაქმნაში. ლ. ი. ბრეჟნევმა სირიის მოძმე არაბ ხალხს და მის ხელმძღვანელებს წარმატებანი უსურვა იმპერიალიზმისა და რეაქციის ხრიკების წინააღმდეგ ბრძოლაში, ახალი ცხოვრების მშენებლობაში.

ლ. ი. ბრეჟნევმა და იუსეფ ზუეინმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირის ხალხსა და სირიის არაბთა რესპუბლიკის ხალხს შორის ვითარდება ურთიერთგაგება, მეგობრობა და თანამშრომლობა ყველა დარგში ხალხთა მშვიდობის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესის საქმის საკეთილდღეოდ.

საუბარში მონაწილეობა მიიღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბ. ნ. პონომარიოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა ვ. ვ. კუზნეცოვმა.

სირიის მხრივ საუბარს დაესწრნენ არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ხელმძღვანელობის წევრები იბრაჰიმ მაჰუსი, ჯამილ შეია, ჰაფეზ ასადი.

ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-სირიის შეთანხმებას

საბჭოთა კავშირ-სირიის მოლაპარაკების წარმატებით დამთავრების შედეგად 22 აპრილს კრემლში ხელი მოაწერეს შეთანხმებას საბჭოთა კავშირისა და სირიის არაბთა რესპუბლიკის ეკონომიური თანამშრომლობის შესახებ.

შეთანხმებას ხელი მოაწერეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა და სირიის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა იუსეფ ზუეინმა. (საქდესი).

სირიელი სტუმრები ლენინგრადში

მოსკოვი, 23 აპრილი. (საქდესის კორ.). დღეს მოსკოვიდან ლენინგრადს გაემგზავრა სირიის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი იუსეფ ზუეინი, რომელიც სსრ კავშირში იმყოფება საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

ვნუკოვოს აეროდრომზე სირიის მთავრობის მეთაური და სირიის არაბთა რესპუბლიკის სხვა სახელმწიფო მოღვაწენი გააცილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა, სსრ კავშირის მინისტრებმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

ვნუკოვოს აეროდრომი მორთული იყო სირიის არაბთა რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით. საპატიო სტუმრის გაცილების დროს ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულდა ორი ქვეყნის სახელმწიფო ჰიმნები.

ლენინგრადი, 23 აპრილი. (საქდესი). დღეს მოსკოვიდან ლენინგრადში ჩამოვიდნენ სირიის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი იუსეფ ზუეინი და სირიის მთავრობის დელეგაციის წევრები.

აეროპორტში, რომელიც მორთული იყო სირიის არაბთა რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ალმებით, სტუმრებს გულითადი შეხვედრა მოუწყვეს.

ახალგაზრდა მევენახეთა რესპუბლიკური შეკრება



გურჯაანი, 23 აპრილი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს აქ გაიმართა ახალგაზრდა მევენახეთა რესპუბლიკური შეკრება. შეიკრიბა საქართველოს 33 რაიონის სოფლის მეურნეობის 500-ზე მეტი მშრომელი, რათა განიხილონ ახალი ხუთწლედის პირველი წლის ამოცანები.

სკკპ XXIII ყრილობის შედეგებისა და ახალგაზრდა მევენახეთა ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. ე. ჩერქეზიამ.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს პარტიის გურჯაანის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. აზაურაშვილმა, ზესტაფონის რაიონის სოფელ სვირის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა გ. ხიდაშელმა, გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეობის მევენახემ, სოციალისტური შრომის გმირმა ლ. მთვარელიშვილმა, კომკავშირის თელავის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ქემაშვილმა, ამბროლაურის რაიონის სოფელ წესის კოლმეურნეობის მევენახემ ნ. მელაშვილმა, წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის აგრონომმა ვ. ბოსტოღანაშვილმა, საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომელმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა გ. მანჯავიძემ და სხვებმა.

შეკრებაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჟავანაძემ.

შეკრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა შ. ი. ჭანუყვაძემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ზ. ბ. გელდიაშვილმა.

შეკრების ანგარიში გამოქვეყნდება.

პარტიული მუშაობის გამოცდილების გაზიარებისათვის

22 აპრილს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა ავსტრალიის კომპარტიის ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ავსტრალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ამხ. ე. როსი.

ავსტრალიელი ამხანაგები გაეცნობიან სსრ კავშირში პარტიული მუშაობის გამოცდილებას და საბჭოთა ხალხის ცხოვრებას.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი იუწყება, რომ 1966 წლის 27 აპრილს მოწვეულია თბილისის მშრომელთა დეპუტატების მე-10 მოწვევის საქალაქო საბჭოს მეშვიდე სესია.

სესია გაიხსნება დღის 12 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი № 8). დეპუტატების რეგისტრაცია იწარმოებს იქვე დილის 11 საათიდან.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

საქართველოს სსრ მრეწველობის 1966 წლის I კვარტალის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

ასრულებენ რა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს, რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკებმა ვადამდე, 29 მარტს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის გახსნის დღეს შეასრულეს წარმოების საერთო მოცულობისა და უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამრეწველო პროდუქციის წარმოების ახალი ხუთწლედის პირველი წლის I კვარტალის გეგმა.

1966 წლის I კვარტალში რესპუბლიკამ მთლიანად და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულმა მრეწველობამ საერთო პროდუქციის წარმოების სახელმწიფო გეგმა შეასრულეს 103 პროცენტით და 1965 წლის I კვარტალთან შედარებით სამრეწველო წარმოების მოცულობა 14 პროცენტით გაიზარდა.

რესპუბლიკის მრეწველობის ცალკეული დარგების საერთო პროდუქცია 1966 წლის I კვარტალში 1965 წლის I კვარტალთან შედარებით შეადგენს:

	1966 წლის I კვარტალი პროცენტობით 1965 წლის I კვარტალთან შედარებით
შავი მეტალურგია	103
სათბობის მრეწველობა	103
აქედან: ქვანახშირისა	98
ელექტროენერგიისა და თბოენერგიის წარმოება	100,6
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	112
ქიმიური და რეზინ-აზბესტის მრეწველობა	127
სატყეო, ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობა	110
სამშენ მასალათა მრეწველობა	118
მინისა და ფაიფურ-ქაშანურის მრეწველობა	102
მსუბუქი მრეწველობა	110
აქედან: საფეიქრო	111
კვების მრეწველობა	121
აქედან:	
ხორცისა	139
კარაქის, ყველისა და რძისა	105
ღვინისა	144

საერთო პროდუქციის წარმოების კვარტალური გეგმა ქალაქ თბილისის სამრეწველო საწარმოებმა შეასრულეს 103 პროცენტით, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებმა — 108 პროცენტით, აჭარის ასს რესპუბლიკისამ — 106 პროცენტით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საწარმოებმა — 110 პროცენტით. 1965 წლის I კვარტალთან შედარებით მრეწველობის საერთო პროდუქციის წარმოება ქალაქ თბილისში გაიზარდა 9 პროცენტით, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — 13 პროცენტით, აჭარის ასს რესპუბლიკაში — 11 პროცენტით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 16 პროცენტით.

რესპუბლიკის ცალკეულ სამინისტროთა და უწყებათა საწარმოების საერთო პროდუქციის წარმოების გეგმის შესრულება შეადგენს:

	1966 წლის I კვარტალის გეგმის შესრულების პროცენტი	1966 წლის I კვარტალი პროცენტობით 1965 წლის I კვარტალთან შედარებით
ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველო	88	101
კომბინატი „საქქვანახშირი"	106	98
ქიმიური მრეწველობის სამმართველო	89	126
სატყეო, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო	106	110
სამშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	105	112
მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	102	109
კვების მრეწველობის სამინისტრო	105	122
„საქმთავარკონსერვხილბოსტანი"	107	97
ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო	121	127
რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა"	100,5	103
სოფლის მეურნეობის სამინისტრო	101	93
უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო	106	100,0
კულტურის სამინისტრო	100,0	112
ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო	116	96
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტი	100,3	101
მშენებლობის სამინისტრო	93	114
საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტრო	92	121
პურპროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარი სამმართველო	104	105
ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	106	114
საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო	106	104
სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო	115	131
კომუნალური მეურნეობის სამინისტრო	105	105
განათლების სამინისტრო	113	95
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი	107	96
მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველო	101	116
უსინათლოთა საზოგადოება	103	147
ყრუ-მუნჯთა საზოგადოება	101	132

თუმცა გადაჭარბებით შესრულდა საერთო პროდუქციის წარმოების გეგმა, მაგრამ ნატურალური გამოხატულებით ვერ უზრუნველყვეს პროდუქციის წარმოების გეგმის შესრულება: სატყეო, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ — მერქნის ბურბუშელის ფილებისა, წებილი ფანერისა; მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ—ბამბის ნართისა, აბრეშუმის ქსოვილებისა, ქრომის ტყავსაქონლისა, ტყავის ფეხსაცმლისა; „საქმთავარკონსერვხილბოსტანმა" — ხილკენკრის ღვინისა, იმპორტული ნედლეულის ფხვნილი შაქრისა, სპირტის ნედლეულისა; კვების მრეწველობის სამინისტრომ — მაკარონისა და საკონდიტრო ნაწარმისა და სხვ.

1966 წლის I კვარტალში სამრეწველო პროდუქციის ცალკეულ სახეობათა წარმოება შეადგენს:

თუჯი — ათასი ტონა	209
ფოლადი — ათასი ტონა	351
ნაგლინი — ათასი ტონა	251
ფოლადის მილები — ათასი ტონა	106
კოქსი საერთო — ათასი ტონა	168
ქვანახშირი — ათასი ტონა	648
ელექტროენერგია — მილიონი კილოვატ-საათი	1.496
მინერალური სასუქები — ათასი ტონა	120
სამაგისტრალო ელმავლები — ცალი	46
სატვირთო ავტომობილები — ცალი	2.620
ლითონსაჭრელი ჩარხები — ცალი	985
სასოფლო-სამეურნეო მანქანები (სათადარიგო ნაწილების გარდა) — ათასი მანეთისა	828
ცემენტი — ათასი ტონა	360
შიფერი — მილიონი პირობითი ფილა	13
აგური — მილიონი ცალი	81
ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები და დეტალები — ათასი კუბური მეტრი ნაკეთობა	175
ქაღალდი — ათასი ტონა	8
ავეჯი — მილიონი მანეთისა	6
სარეცხი მანქანები — ათასი ცალი	25
ბამბის ქსოვილები — მილიონი კვადრატული მეტრი	12
შალის ქსოვილები — ათასი კვადრატული მეტრი	1.241
აბრეშუმის ქსოვილები — ათასი კვადრატული მეტრი	4.963
წინდები — ათასი წყვილი	3.575
ტრიკოტაჟის საცვალი — ათასი ცალი	4.572
ზედა ტრიკოტაჟი — ათასი ცალი	1.396
ტყავის ფეხსაცმელი — ათასი წყვილი	2.928
ხორცი* — ათასი ტონა	7
კონსერვები — მილიონი პირობითი ქილა	16
კარაქი* — ტონა	162
მოუხდელი რძის პროდუქცია რძეზე გადაანგარიშებით — ათასი ტონა	15
მცენარეული ზეთი — ტონა	1.675
მაკარონის ნაწარმი — ათასი ტონა	3,6
ხარისხოვანი დაფასოებული ნატურალური ჩაი — ათასი ტონა	3,9
ყურძნის ღვინო* — მილიონი დეკალიტრი	2,2

1966 წლის პირველ კვარტალში მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდა თუჯის, ფოლადის, ნაგლინის, ფოლადის მილების, საერთო კოქსის, მარგანეცის მადნის, ქვანახშირის, მინერალური სასუქების, ლითონსაჭრელი ჩარხების, სამაგისტრალო ელმავლების, ავტომობილების, ცემენტის, შიფერის, აგურის, ქაღალდის, ბამბისა და შალის ქსოვილების, წინდების, ტრიკოტაჟის საცვლისა და ზედა ტრიკოტაჟის, ხორცის, კარაქის, მცენარეული ზეთის, ხარისხოვანი დაფასოებული ნატურალური ჩაისა და სხვა სახეობათა ნაწარმის წარმოების გეგმა.

გასული წლის I კვარტალთან შედარებით წარმოებულია მეტი: თუჯი — 6,4 ათასი ტონა, საერთო კოქსი — 3,8 ათასი ტონა, სატვირთო ავტომობილები — 120 ცალი, მინერალური სასუქები — 7,6 ათასი ტონა, ცემენტი — 45 ათასი ტონა, შიფერი — 963 ათასი ცალი პირობითი ფილა, ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები და დეტალები — 33 ათასი კუბური მეტრი.

სახალხო მოხმარების საქონელი წარმოებულია მეტი: წინდები — 539 ათასი წყვილი, ტრიკოტაჟის საცვალი — 212 ათასი ცალი, ზედა ტრიკოტაჟი — 311 ათასი ცალი, ტყავის ფეხსაცმელი— 312 ათასი წყვილი, ხორცი — 2,2 ათასი ტონა, მოუხდელი რძის პროდუქცია — ათასი ტონა, სარეცხი მანქანები — 10 ათასი ცალი, ავეჯი — 804 ათასი მანეთისა და სხვ.

შრომის ნაყოფიერების გეგმა რესპუბლიკის მრეწველობაში შესრულებულია 104 პროცენტით. 1965 წლის I კვარტალთან შედარებით შრომის ნაყოფიერების ზრდამ შეადგინა 9 პროცენტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

---

* კოლმეურნეობების წარმოებისა და მოსახლეობის შინწარმოების გარდა.

თბილისიდან გაემგზავრნენ უცხოელი დიპლომატები

საქართველოში ოთხ დღეს იყო სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურების ჯგუფი. ევროპის, აზიის, აფრიკისა და ამერიკის 21 ქვეყნის დიპლომატებმა ჩვენში იმოგზაურეს რესპუბლიკის გასაცნობად.

საქართველოდან გამგზავრების წინ დიპლომატთა ჯგუფის დუაიენმა, კამბოჯის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში ბატონმა ხუ ტანტუმმა პრესის წარმომადგენლებს შთაბეჭდილებანი გაუზიარა. საქართველოში ყოფნის რამდენიმე დღის მანძილზე, — თქვა მან, — გავეცანით მის ისტორიულ წარსულსა და აწმყოს, მრეწველობას, სოფლის მეურნეობასა და ხელოვნებას, ქართველი ხალხის ცხოვრების ყველა მხარეს. ვნახეთ, თუ რა პროგრესს მიაღწია საქართველოს რესპუბლიკამ.

ყველგან განსაკუთრებით სტუმართმოყვარულად გვხვდებოდნენ, — განაცხადა შემდეგ კამბოჯის ელჩმა. — გულთბილად გვექცეოდნენ არა მარტო ხელმძღვანელები, არამედ მოსახლეობაც. ყოველივე ეს მოწმობს, რომ აქ სულითა და გულით უხარიათ სტუმრის მიღება.

23 აპრილს დიპლომატები მოსკოვს გაემგზავრნენ. აეროდრომზე სტუმრები გააცილეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ რ. რ. დვალმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. მ. სირაძემ, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. ა. კვაჭაძემ, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. ე. ბუხრაშვილმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველმა ა. ვ. ქირაძემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ლ. ა. საყვარელიძემ, ჟურნალისტებმა. (საკდესი).

ჩვენი მეგობრების ცხოვრება

პრაღა. 20-21 აპრილს პრაღაში გაიმართა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა განიხილა პარტიის ეკონომიური პოლიტიკის მთავარ მიმართულებათა და 1966-1970 წლების სახალხო-სამეურნეო გეგმის მთავარ ამოცანათა პროექტი. მოხსენება გააკეთა მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარემ ო. ჩერნიკმა.

საინფორმაციო მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის მუშაობის შესახებ გააკეთა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ანტონინ ნოვოტნიმ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყრილობა, განაცხადა მან, უდავოდ, თვალსაჩინო საერთაშორისო მოვლენა იყო, და მისმა დასკვნებმა მთელი მსოფლიოს უდიდესი გამოხმაურება გამოიწვია. ყრილობამ ცხადყო, თუ რაოდენ მრავალმხრივ აყვავდა საბჭოთა კავშირი. ეს ყრილობა უდიდესი მოვლენაა საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში, ამ მოძრაობის შეკავშირებისათვის, ბრძოლისუნარიანობის შემდგომი გადიდებისათვის ბრძოლაში.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოიწონა ანგარიში ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის დელეგაციისა სკკპ XXIII ყრილობაზე, რომელიც ა. ნოვოტნიმ წარმოადგინა.

პლენუმმა მიიღო 1970 წლამდე ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ეკონომიური პოლიტიკის მთავარ მიმართულებათა პროექტი და წინადადებანი სახალხო მეურნეობის გეგმიანი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებული სისტემის შემდგომი დანერგვის შესახებ, რომლებსაც განიხილავენ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის XIII ყრილობაზე.

ვარშავა. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კინოთეატრების ეკრანებზე გამოვიდა მხატვრული ფილმი „ლენინი პოლონეთში", რომელიც ერთად შექმნეს საბჭოთა და პოლონელმა კინომუშაკებმა. საბჭოურ-პოლონური ფილმის ვარშავის პრემიერაზე, რომელიც კულტურისა და მეცნიერების სასახლის კონგრესთა უზარმაზარ დარბაზში გაიმართა, ჩამოვიდა საბჭოთა დელეგაცია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ვ. ბასკაკოვის მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაშია ფილმის რეჟისორი ს. იუტკევიჩი.

ბუქარესტი. იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის გენერალური მდივანი ი. ბროზ ტიტო, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად არის რუმინეთში, ბუქარესტში დაბრუნდა ამ ქვეყნის დათვალიერების შემდეგ. რუმინეთის სტუმარს ახლდნენ რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ნ. ჩაუშესკუ, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუდმივი პრეზიდიუმის წევრი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე კივუ სტოიკა, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუდმივი პრეზიდიუმის წევრი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. გ. მაურერი, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუდმივი პრეზიდიუმის წევრი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ე. ბოდნარაში.

ი. ბროზ ტიტო რუმინელ ხელმძღვანელებთან ერთად ეწვია ბრაშოვის სატრაქტორო ქარხანასა და ბრაზის ნავთობქიმიურ კომბინატს.

ბუდაპეშტი. უნგრეთის დედაქალაქში გაიმართა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების საჰაერო ტრანსპორტის საწარმოთა ხელმძღვანელების თათბირი. თათბირში მონაწილეობდნენ ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები. მათ განიხილეს შარშან ბერლინში თანამშრომლობის შესახებ დადებული შეთანხმების ღონისძიებათა განხორციელების საკითხები.

ბუქარესტი. ბუქარესტში შენდება რუმინეთის ქიმიური მრეწველობის ახალი საწარმო „პოლიკოლორი", რომელიც გამოუშვებს სინთეზურ ფისებს, ლაქებს, საღებავებსა და სხვა ქიმიურ პროდუქტებს. ამ საწარმოს შემადგენლობაში შემავალი სამი ქარხანა გამოუშვებს ალკიდის, ფენოლის, მელამინისა და სხვა 15 ნაირსინთეზურ ფისებს. ზოგიერთ მათგანს, როგორიცაა, მაგალითად, წყალში ხსნადები, პირველად გამოუშვებს რუმინეთი. (საკდესი).

სოციალისტურ ქვეყნებში

ვ. ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვა სტუმრად სტოკჰოლმში

სტოკჰოლმი, 23 აპრილი. (საკდესი). გუშინ აქ ტექნიკური მუზეუმის შენობაში გაიმართა ვ. ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვას პრეს-კონფერენცია შვეციაში მისი ყოფნის დამთავრების გამო. ვ. ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვამ უპასუხა შეკითხვებს და განაცხადა, რომ შვეციიდან კარგი შთაბეჭდილებები მიჰყვება. „ყველგან ვამჩნევდი, — თქვა მან, — რომ დიდ ინტერესს იჩენენ ჩვენი ქვეყნისადმი".

„ამ დღეებში შვეციაში ცუდი ამინდი იყო, — თქვა ვ. ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვამ, — მაგრამ გაგვათბო შვედი ხალხის სტუმართმოყვარეობამ. ბევრი გულთბილი და კარგი შეხვედრა გვქონდა".

პრეს-კონფერენციაზე ვ. ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვას სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს ტექნიკური მუზეუმის დირექტორმა სტრანდმა, უმაღლესი ტექნიკური სკოლის სტუდენტებმა და საზოგადოებრიობის სხვა წარმომადგენლებმა.

საერთაშორისო ცხოვრება

„რეალისტური ყრილობა"

რომი, 22 აპრილი. (საკდესი). „ეს იყო რეალისტური ყრილობა: არავითარი ფუჭი ოცნება, ფეხქვეშ მტკიცე ნიადაგს ვგრძნობდით. ეს იყო ყრილობა, სადაც რამდენიმე დღის განმავლობაში ციფრებისა და ფაქტების საშუალებით იხილავდნენ კონკრეტულ პრობლემებს", — განაცხადა იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ლ. ლონგომ, შეეხო რა სკკპ XXIII ყრილობის შედეგებს.

საბჭოთა ამხანაგებმა, თქვა მან, „იციან ისიც, რომ მრეწველობის ზოგიერთი დარგი ჩამორჩება ეკონომიურად ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით, მაგრამ ამავე დროს მათ ჩინებულად იციან, თუ რა უდიდესი შესაძლებლობანი აქვს ისეთ დიდ სოციალისტურ სახელმწიფოს, როგორიც სსრ კავშირია".

„როცა ლაპარაკობენ წარმოების თვისებრივ გაუმჯობესებასა და მეცნიერების მიღწევების გამოყენებაზე ეკონომიკის ყველა დარგში, — განმარტა ლ. ლონგომ, — ცდილობენ მიაღწიონ არა მარტო ტექნიკის მაქსიმალურ ეფექტიანობას, არამედ სურთ განაახლონ თვით მეურნეობის სოციალისტური სისტემა, რათა კიდევ უფრო მეტი წარმატებანი მოიპოვონ. სწორედ ამ საფუძველზე გრძელდება საბჭოთა საზოგადოების დემოკრატიული განვითარება".

ლ. ლონგომ ეს განაცხადა ინტერვიუში, რომელიც მან და იტალიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის წევრმა მარიო ალიკატამ მისცეს ჟურნალ „ასტრალაბიოს". ეს ინტერვიუ დღეს გამოაქვეყნა გაზეთმა „უნიტამ".

მორიგი სკანდალი ვაშინგტონში

ვაშინგტონი, 21 აპრილი. საკდესის კორესპონდენტი ვ. პეტრუსენკო გვატყობინებს:

დემოკრატმა სენატორმა კონექტიკუტის შტატისაგან თომას დოდმა აღიარა, რომ 1961-1963 წლებში პირადი საჭიროებისათვის მიიღო და დახარჯა საარჩევნო კამპანიის განსახორციელებლად განკუთვნილი ასი ათასი დოლარი.

მაგრამ დოდი ცდილობდა დაერწმუნებინა სენატის ეთიკის საკითხთა კომისია, რომ ეს თანხა „საჩუქრად" მიიღო ამომრჩევლებისა და პოლიტიკური თანამოაზრეებისაგან.

სენატორი არწმუნებდა თავის კოლეგებს, რომ კონგრესში ყოფნის პირველმა წლებმა (1958-1961 წლები) მნიშვნელოვნად „შეარყია" მისი ფინანსური საქმეები, და რომ ამიტომ იძულებული იყო ბანკეტები გაემართა ხოლმე თავის პატივსაცემად, რომელთა ბილეთები მეტად დიდ ფასად იყიდებოდა. მაგალითად, პირველი ბანკეტის შემდეგ დოდმა ჩაიჯიბა 54,5 ათასი დოლარი, მეორის შემდეგ კი 47 ათასი დოლარი.

გაზეთ „ვაშინგტონ პოსტისათვის" მიცემულ ინტერვიუში დოდის დაახლოებულმა პირებმა განაცხადეს, ასეთი ბანკეტები შესაძლებლობას აძლევს „ღარიბ კაცს" სენატში დარჩესო. ეს „ღარიბი" დოდი წელიწადში ოცდაათი ათას დოლარს იღებს. იგი არ თაკილობს ფასიან ლექციებსა და ისეთ ძღვენს, როგორიც ავტომობილია, რომელიც, როგორც სენატის კომისიის სხდომაზე გამოირკვა, კონექტიკუტის შტატის ერთ-ერთ ფირმას „უჩუქებია". ამ შტატის საავიაციო კომპანია კი უფასოდ აძლევდა დოდს ბილეთებს.

ყოველივე ეს და, „კერძოდ, ბანკეტები, განაცხადეს სენატორ დოდის დაახლოებულმა პირებმა, ამერიკული ცხოვრების წესის შემადგენელი ნაწილია და „ამიტომ არავის არ უნდა აღელვებდეს". მაგრამ ასი ათასი დოლარის ამბავმა, რასაც სკანდალური ხასიათი მიეცა, დიდად აღაშფოთა ვაშინგტონის საზოგადოებრიობა.

პრეზიდენტ დე გოლის მოგზაურობა

პარიზი, 23 აპრილი. (საკდესი). პრეზიდენტმა დე გოლმა დღეს დაიწყო მორიგი მოგზაურობა საფრანგეთში. იგი ეწვევა საფრანგეთის ჩრდილოეთ რაიონებს. ოთხი დღის მანძილზე იგი ეწვევა ლილეს, დიუნკერკს, კალეს და პა-დე-კალეს დეპარტამენტის ქვანახშირის აუზს.

დაბომბვა საიგონთან

ნიუ-იორკი, 22 აპრილი. (საკდესი). დღეს ამერიკის ბომბადამშენები თავს დაესხნენ საიგონის გარეუბნებში პარტიზანთა სავარაუდო თავმოყრის რაიონს. ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს საიგონელი კორესპონდენტის ცნობით, თვითმფრინავები ისე ახლოს მიფრინდნენ ქალაქთან, რომ ჩანდა, თუ როგორ ეცემოდა ბომბები. ქალაქის ცენტრში კი მინები ზრიალებდა.

აღმოსავლეთის ხალხთა დიდი მეგობარი

ბეირუთი, 22 აპრილი. (საკდესი). „ლენინი აღმოსავლეთის ხალხთა დიდი მეგობარია" — ასეთი სათაურით გამოაქვეყნა გაზეთმა „ან-ნიდამ" მასალები, რომლებიც ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 96-ე წლისთავს ეძღვნება. ლენინმა, წერს გაზეთი, მეცნიერულად დაამტკიცა იმპერიალიზმის დაღუპვის გარდუვალობა. არაბ ხალხებს დიდი ლენინის მოძღვრება მიაჩნიათ შთაგონების უშრეტ წყაროდ თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრებისათვის ბრძოლაში.

ლ. ჯონსონის პრეს-კონფერენცია

ვაშინგტონი, 23 აპრილი. (საკდესი). პრეზიდენტმა ლ. ჯონსონმა გუშინ თეთრ სახლში მოაწყო პრეს-კონფერენცია. კორესპონდენტებმა სთხოვეს მას განემარტა სამხრეთ ვიეტნამის სამხედრო და პოლიტიკური მდგომარეობა და, კერძოდ ანტიამერიკული და მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლები, რომლებიც იქ ეწყობა. როგორც პრეზიდენტმა თქვა, ახლანდელი კრიზისი სამხრეთ ვიეტნამში იმით აიხსნება, რომ „კონსტიტუციური მთავრობის შექმნის საჭიროების გამო ვიეტნამელ ხალხს ახლა ძნელი პერიოდი აქვს".

პრეზიდენტმა უარი განაცხადა რაიმე ეთქვა საომარი ოპერაციების შესახებ ვიეტნამში. ცნობილია, რომ ამ ბოლო დროს ამერიკის ავიაციამ მნიშვნელოვნად გააფართოვა ბარბაროსული თავდასხმები ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე და ამჟამად ბომბავს ამ ქვეყნის მჭიდროდ დასახლებულ ცენტრებს. ჯონსონმა ზოგადად განაცხადა. იმის მეტს ვერაფერს ვიტყვი, რაც ყოველდღე იბეჭდება გაზეთებშიო.

კორესპონდენტებმა პრეზიდენტს ჰკითხეს, არახელსაყრელ გავლენას ხომ არ მოახდენს ვიეტნამის ომი დემოკრატიული პარტიის კანდიდატთა შანსებზე კონგრესის მომავალ არჩევნებში, რომელიც მიმდინარე წლის ნოემბერში გაიმართება.

ჯონსონმა თქვა, არა მგონია ასე მოხდესო. ვფიქრობ, განაცხადა მან, რომ ვიეტნამის ომი მომავალი არჩევნების ერთ-ერთი მთავარი საკითხია, ვინაიდან ეს „საერთო ეროვნული" პრობლემაა და ორივე პარტიის წარმომადგენლები ერთნაირად არიან დაინტერესებული მისი გადაჭრით.

◆

ჩაერია... პრეზიდენტი

ნიუ-იორკი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯონსონი ჩაერია ხუთი ძირითადი შინაგანი ავიახაზის მექანიკოსთა პროფკავშირისა და მეწარმეთა შორის კონფლიქტში. სპეციალური განკარგულებით მან 2 თვით გადადო მექანიკოსთა გაფიცვა, რომელიც 23 აპრილისათვის იყო განზრახული.

მექანიკოსები მოითხოვენ ხელფასის მომატებას და შვებულების ხანგრძლივობის გადიდებას.

ახალგაზრდობა იბრძვის და შრომობს, ახალგაზრდობა სწავლობს...

ზემო სურათზე ხედავთ კოლუმბიელ პარტიზანებს, რომლებმაც ლატიფუნდისტთა უღელქვეშ ყოფნას მთებში წასვლა და ბრძოლა ამჯობინეს. მარკეტალია — ასე ეწოდება პარტიზანული მოძრაობის დასაყრდენს კოლუმბიის ანდებში. პარტიზანებმა აყვავებულ პლანტაციებად აქციეს ანდების კლდეები — მოჰყავთ ბანანი და ყავა, რასაც ახლომდებარე ქალაქების ვაჭრები ყიდულობენ. მათ საქმიანი კავშირი არ გაუწყვეტიათ თავისუფლებისმოყვარე მიწათმოქმედებთან.

მთავრობა ყოველნაირად ცდილობს სიმშვიდე დაურღვიოს პარტიზანებს. მარკეტალიელებმა იარაღით ხელში არაერთხელ დაიცვეს თავიანთი მონაპოვარნი. სამიწათმოქმედო სამუშაოები ცხარე სამხედრო შეტაკებების დროსაც არ წყდება. პარტიზანებს, მართალია, არა აქვთ თანამედროვე იარაღი და ჭრელაჭრულა ფორმები, მაგრამ მათ იციან, რისთვისაც იბრძვიან, და მათს სიმამაცეზე ქვეყანა ლაპარაკობს.

ქვემო სურათზე კი აღბეჭდილი არიან კოლონიალიზმის უღლისაგან განთავისუფლებული მალის რესპუბლიკის ახალგაზრდები. ბოლო მოვუღოთ წერა-კითხვის უცოდინარობას! — ასეთია რესპუბლიკის მშრომელთა გადაწყვეტილება — ამიტომ მერხებს მიუჯდა დიდი თუ პატარა.

ფოტო აასის, კეისტონისა და საკდესისა.

„მორნინგ სტარი"— „დეილი უორკერის" მემკვიდრე

ლონდონი, 23 აპრილი. (საკდესი). 25 აპრილიდან — ორშაბათიდან გაზეთი „დეილი უორკერი" გამოვა „მორნინგ სტარის" სახელწოდებით. წინანდელ მოცულობასთან შედარებით ამ გაზეთის მოცულობა ერთნახევარჯერ გადიდდება.

სარედაქციო სტატიაში „დეილი უორკერი" დღეს წერს, რომ ეს ცვლილება „ყველაზე დიდი ნაბიჯია" გაზეთის მრავალი წლის ისტორიის განმავლობაში. „თუმცა ვეთხოვებით ჩვენს ძველ სახელწოდებას, — ნათქვამია შემდეგ სარედაქციო სტატიაში, — მაგრამ ჩვენ არ ვწყვეტთ ტრადიციასთან კავშირს. ჩვენი გაზეთი 36 წლის განმავლობაში მხარს უჭერდა ყოველივე საუკეთესოს, რაც კი არის ინგლისის მუშათა კლასსა და სოციალისტურ ჟურნალისტიკაში. მან სახელი გაითქვა თავისი პატიოსნებით, მამაცობითა და პირდაპირობით. იგი განუხრელად იცავდა მშვიდობას. გაზეთი მუდამ სოციალიზმის აუცილებლობას ქადაგებდა. სწორედ ეს ტრადიცია და ეს წარსული დაედება საფუძვლად „მორნინგ სტარს".

იძულებითი აღიარება

ვაშინგტონი, 22 აპრილი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების შტაბების უფროსთა კომიტეტის თავმჯდომარემ გენერალმა უილერმა აღიარა, რომ სამხრეთვიეტნამელი პატრიოტები „ძალაა, რომლებიც დიდი ინტენსივობით იბრძვიან". ოჰაიოს შტატის უნივერსიტეტში გამოსვლის დროს გენერალმა აღნიშნა, რომ სამხრეთვიეტნამელი პარტიზანები კონტროლს უწევენ ბევრ „დიდ მნიშვნელოვან რაიონს". „ჩვენ მოგველის მძიმე ხანგრძლივი ბრძოლა", — თქვა უილერმა.

მან თქვა, რომ ამერიკის ავიაციამ უნდა განაგრძოს თავდასხმები ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე და გააფართოვოს ამერიკელთა სამხედრო ოპერაციები სამხრეთვიეტნამელ პარტიზანთა წინააღმდეგ.

ხუთი მილიონი ალკოჰოლიკი

ნიუ-იორკი, 22 აპრილი. (საკდესი). შეერთებულ შტატებში 5 მილიონამდე ალკოჰოლიკია. მათი რიცხვი ყოველწლიურად 200 ათასით მატულობს.

როგორც ასოშიეიტედ პრესის ვაშინგტონელი კორესპონდენტი იტყობინება, ეს განაცხადეს ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს თანამშრომლებმა.

ამ სამინისტროს წარმომადგენელთა აზრით, ალკოჰოლიზმი კიბოსთან, გულის და ფსიქიკურ დაავადებებთან ერთად ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა, რომელიც დგას ამერიკის ჯანმრთელობის დაცვის წინაშე.

პარიზელ მშრომელთა მიტინგი

პარიზი, 23 აპრილი. საკდესის კორესპონდენტები ა. ზვანცოვი და ვ. საფონოვი გვატყობინებენ: გუშინ საღამოს საფრანგეთის დედაქალაქის ერთ-ერთ უდიდეს მიუტიუალიტეს დარბაზში გაიმართა პარიზის რაიონის მშრომელთა მასობრივი მიტინგი, რომელიც სკკპ XXIII ყრილობას მიეძღვნა. ხელისუფალნი ცდილობდნენ ხელი შეეშალათ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პარიზის ორგანიზაციის ამ მასობრივი ღონისძიების განხორციელებისათვის. მათ აკრძალეს მიტინგი, რომელიც 21 აპრილს უნდა გამართულიყო სპორტის სასახლეში.

მაგრამ მიტინგი მაინც გაიმართა. მიუტიუალიტემ ვერ დაიტია ყველა მსურველი. ბევრი ქუჩაში დარჩა. ათასობით მუშა, მოსამსახურე, კომუნისტური პარტიისა და ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის წევრები მქუხარე ოვაციით შეხვდნენ პრეზიდიუმში შემოსულ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებს, სკკპ XXIII ყრილობაზე საფრანგეთის კომუნისტური პარტიის დელეგაციის წევრებს პარტიის გენერალური მდივნის ამხ. ვალდეკ როშეს მეთაურობით.

საზეიმოდ ჟღერს საბჭოთა კავშირის ჰიმნი და „მარსელიოზა".

მოკლე შესავალი სიტყვის შემდეგ რ. გიუიომ გამოაცხადა, რომ ახლა კოსმოსიდან საბჭოთა სადგურ „ლუნა-10"-დან გადმოცემული იქნება „ინტერნაციონალის" მელოდია. სიჩუმეში დამსწრენი ისმენენ მუშათა კლასის ჰიმნის პირველ სტროფებს. შემდეგ გაისმის მქუხარე ტაში.

თავმჯდომარე საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრი რაიმონ გიუიო სიტყვას აძლევს დელეგაციის წევრს ჟანეტა ტორეზ-ვერმერშს.

დღეს, როცა სრულდება ვ. ი. ლენინის დაბადების 96-ე წლისთავი, თქვა მან, ყველა კონტინენტის მილიონობით ადამიანის თვალი მიპყრობილია ამ დიდი ჰუმანისტისაკენ, პროგრესისათვის, ხალხთა მშვიდობისა და დამოუკიდებლობისათვის, სოციალიზმისათვის ამ დაუცხრომელი მებრძოლისაკენ. 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციით ახალი ერა დაიწყო კაცობრიობისათვის. სსრ კავშირის არსებობა, მისი ეკონომიური და სამხედრო ძლიერება სოციალისტური სისტემის განმტკიცებისა და განვითარების მთავარი ფაქტორებია.

ჟ. ტორეზ-ვერმერშმა მოიყვანა ციფრები, რომლებიც მოწმობენ საბჭოთა ეკონომიკის ზრდას ამ ბოლო დროს, აღნიშნა სსრ კავშირის მიღწევები კულტურის, სოციალური პროგრესის დარგში, დაასახელა ხუთწლიანი გეგმის შესახებ სკკპ XXIII ყრილობის დირექტივების ძირითადი მაჩვენებლები.

შემდეგ ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ვალდეკ როშემ. ჩვენ მოვედით ამ მიტინგზე, თქვა მან, იმიტომ, რომ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებანი შეეხება არა მარტო საბჭოთა ადამიანების, არამედ მთელი მსოფლიოს მშრომელთა ინტერესებსაც.

ორატორმა მოიყვანა ციფრები, რომლებიც ცხადყოფენ საბჭოთა ეკონომიკის ზრდას, და აღნიშნა, რომ „საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკა უფრო სწრაფი ტემპით ვითარდება, ვიდრე კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკა".

ვ. როშე დაწვრილებით შეეხო შემდეგ სკკპ XXIII ყრილობაზე გაკეთებულ საერთაშორისო მდგომარეობის ანალიზს.

მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც თავიანთ სოლიდარობას აღუთქვამენ საბჭოთა ხალხსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და ძმურ სალამს უთვლიან საბჭოთა ადამიანებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტექნიკის დარგის თვალსაჩინო ნაშრომები

საუბარი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური პრემიების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილესთან

ი. ე. მაქსარიოვთან

◆

ვ. ი. ლენინის დაბადების ოთხმოცდამეთექვსმეტე წლისთავი იმ დროს აღინიშნება, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა და მთელი პროგრესული კაცობრიობა ჯერ კიდევ პარტიის XXIII ყრილობის ცოცხალი შთაბეჭდილებით არის, ყრილობამ საბჭოთა ხალხს კომუნიზმის მშენებლობის გზით შემდგომი წინსვლის აღმაფრთოვანებელი პერსპექტივები გადაუშალა. კომუნისტურ მშენებლობაში დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იქნება ახალი ხუთწლიანი გეგმა, რომლის კონტურები პარტიის ყრილობამ განსაზღვრა.

XXIII ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შემდგომ დაჩქარებას, რადგან ეს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დარგში სოციალიზმის პირველი ქვეყნის მიღწევებმა კარგა დიდი ხანია მოიპოვა მსოფლიო აღიარება. მაგალითად, მთელი მსოფლიო აღტაცებულია საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის გრანდიოზული წარმატებებით კოსმოსური სივრცის შესწავლასა და ათვისებაში.

1966 წლის ლენინური პრემიების მინიჭება იმ მეცნიერთა, კონსტრუქტორთა და წარმოების მუშაკთა დამსახურების მაღალი შეფასებაა, რომლებიც მონაწილეობდნენ მრავალადგილიანი პილოტირებული თანამგზავრი ხომალდების „ვოსხოდ-1"-ის, „ვოსხოდ-2"-ის შექმნასა და დამზადებაში, მათი გაშვების მოწყობასა და მსოფლიოში პირველად ადამიანის კოსმოსურ სივრცეში გასვლის განხორციელებაში. ლენინური პრემიებით აღინიშნა აგრეთვე შესანიშნავი ავტომატური სადგურების „ლუნა-9"-ის და „ლუნა-10"-ის შემქმნელთა შრომა, რომელთა საშუალებით განხორციელდა რბილად დაჯდომა მთვარის ზედაპირზე, მთვარის პანორამის ფოტოსურათების გადმოცემა დედამიწაზე და მსოფლიოში პირველი მთვარის ხელოვნური თანამგზავრის გაყვანა მთვარისახლო ორბიტაზე.

ჩვენ რომ ტექნიკური პროგრესის შემოქმედთა შესანიშნავი კადრები გვყავს, ამას მოწმობს 1966 წლის ლენინური პრემიების მინიჭება ტექნიკის დარგის შესანიშნავი ნაშრომებისათვის.

გეოლოგებისათვის გამოცანა აღარ არის მანგიშლაკის უდაბური ნახევარკუნძული, რომელსაც კასპიის ზღვა ეკვრის. აქ 1961 წელს ა. დოსმუხამბეტოვმა, ბ. ფ. დიაკოვმა, ი. ივანოვმა, ვ. გ. მატვეევმა, შ. ესენოვმა და სხვებმა აღმოაჩინეს ნავთობ-გაზის ჩვენი ქვეყნის უდიდესი საბადოები „ჟეტიბაი" და „უზენი". ნავთობ-გაზის ამ ყამირის ათვისება დაიწყო. წინათ უდაბურ და უწყლო მხარეში შენდება ქალაქი შევჩენკო და რამდენიმე მუშათა დაბა; აქ გაყვანილია 900-კილომეტრიანი რკინიგზა. უკვე მიმდინარე ხუთწლედში ჩვენი ქვეყანა მანგაშლაყიდან მიიღებს მილიონობით ტონა პირველხარისხოვან ნავთობს.

ნავთობთან დაკავშირებულია მეორე ნაშრომიც. საქმე ეხება კუიბიშევის ოლქის ნავთობის საბადოთა დამუშავების დროს ეგრეთწოდებული ბლოკური სისტემების მეცნიერულ დასაბუთებასა და პრაქტიკულად დანერგვას. კუიბიშევის ოლქს მესამე ადგილი უჭირავს ჩვენს ქვეყანაში თხევადი სათბობის მოპოვებით. ამ ნაშრომის ავტორები არიან კ. ბ. აშიროვი, ა. ი. გუბანოვი, პ. ვ. ივანოვი და სხვები. 1959-1963 წლებში მათმა პროგრესულმა მეთოდმა კაპიტალური დანახარჯებისა და საექსპლოატაციო ხარჯების შემცირების შედეგად მოგვცა 280 მილიონი მანეთი ეკონომია. გარდა ამისა, ამ მეთოდის მეოხებით დამატებით მოპოვებულია 64 მილიონი ტონა ნავთობი.

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება ხშირად ძნელ და ძვირადღირებულ საბურღ სამუშაოებთან არის დაკავშირებული. მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების სამთო საქმის ინსტიტუტმა კუზნეცკის მეტალურგიულ კომბინატთან ერთად შექმნა საბურღი აგრეგატი ბა-100 და საბურღი ნახევარავტომატი ნკრ-100-მ, რომლებიც უზრუნველყოფენ სამუშაოთა მექანიზაციისა და ავტომატიზაციის მაღალ ხარისხს. ახალი აგრეგატები განკუთვნილია ჭაბურღილების საბურღავად დიდი სიმაგრის ქანებში. მათ ფართოდ იყენებენ ჩვენს ქვეყანაში. ეს აგრეგატები შექმნეს ბ. ვ. სუდნიშნიკოვმა, პ. მ. ემელიანოვმა, გ. ი. სუკსოვმა და სხვებმა.

მსოფლიო პრაქტიკაში პირველად შექმნილია საველე პირობებში — უშუალოდ რელსების დაგების ადგილას მათი შედუღების ტექნოლოგია და მაღალი წარმადობის ეკონომიური დანადგარები. ეს დანადგარები ათჯერ უფრო მსუბუქია და სამ-ხუთჯერ ნაკლებ ენერგიას ხარჯავს, ვიდრე ამავე კლასის სტაციონარული მანქანები. შემუშავებულია აგრეთვე შედუღების რეჟიმის პარამეტრების პროგრამული შეცვლის საშუალებით უწყვეტი ჩამოდნობით შედუღების ტექნოლოგია. ყოველივე ამან ხელი შეუწყო რელსების შედუღების პროცესის სრულ ავტომატიზაციას, შენადუღი შეერთების ხარისხის გაუმჯობესებას, ერთიორად გაადიდა შრომის ნაყოფიერება. ეს ნაშრომი შესრულდა ავტორთა კოლექტივმა, რომელშიც შედიან ვ. კ. ლებედევი, ს. ი. კუჩუკ-იაცენკო და სხვები.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ა. ფ. იოფეს სახელობის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის და სარანსკის ქარხანა „ელექტროამმართველის" თანამშრომელთა ჯგუფმა შეიმუშავა და წარმოებაში დანერგა ძალური ნახევარგამტარიანი მართული და არამართული ვენტილები ელექტროდენის გასამართავად. ავტორთა კოლექტივში შედიან ვ. მ. ტუჩკევიჩი, ი. ა. ტეპმანი, ი. ვ. გრეხოვი, ვ. ე. ჩელნოკოვი და სხვები. საბჭოთა ვენტილების საიმედოობა გაცილებით დიდია, ვიდრე ამერიკის ფირმების მიერ გამოშვებული ვენტილებისა.

საბჭოთა კავშირს მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს სახალხო მეურნეობის თბოფიკაციის განვითარების მხრივ. სათბიერებელ ორთქლის ტურბინს, რომელიც ავტორთა კოლექტივმა — დ. პ. ბუზინმა, ე. ი. ბენენსონმა, გ. ი. ბლაგოდარევმა და სხვებმა შექმნეს, თავისი სიმძლავრით, ეკონომიურობითა და საიმედოობით ბადალი არ მოეპოვება არც სსრ კავშირში და არც საზღვარგარეთ.

ლითონის დნობის დაჩქარებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს თხევადი სინთეზური წიდებით ციცხვში დამუშავების შედეგად სხვადასხვა დანიშნულების მაღალხარისხოვანი ფოლადის წარმოების ახალ ტექნოლოგიას. მეცნიერებმა და ფოლადმდნობელებმა ს. გ. ვოინოვმა, ა. ს. ტოჩინსკიმ, ი. ა. ლუბენეცმა და სხვებმა მიაღწიეს ფოლადის ხარისხის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას სამრეწველო მასშტაბით. ამგვარად მიღებული ფოლადის საკისრების საშუალო მედეგობა 36 პროცენტით მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი ელექტროფოლადის საკისრებისა.

ახალი ტექნოლოგიის დანერგვის შემდეგ გამოდნობილია და სახალხო მეურნეობის საჭიროებას მოხმარდა სხვადასხვა დანიშნულების 600 ათასზე მეტი ტონა მაღალხარისხოვანი ფოლადი. 1966-1970 წლებში დასახულია ეს პროგრესული მეთოდი დაინერგოს თოთხმეტ ფოლადსადნობ საამქროში. ეს შესაძლებელს გახდის, რომ ხუთწლედის დამლევისათვის სინთეზური წიდებით დამუშავდეს შვიდ მილიონ ტონამდე ფოლადი.

მსოფლიო პრაქტიკაში პირველად შემუშავებულია და საავტომობილო მრეწველობაში დაინერგა გამოდნობილი მოდელების მიხედვით ზუსტი ჩამოსხმის მეთოდით სხმულების მასობრივი წარმოების ავტომატური მოწყობილობის კომპლექსი. კონსტრუქტორებმა ნ. ა. კოვალიოვმა, ვ. დ. ვერბიცკიმ, მ. ნ. ეფიმოვმა და სხვებმა გადაჭრეს მთელი რიგი რთული საკითხები, რომლებიც ხელს უწყობენ საწარმოო პროცესების მნიშვნელოვან ინტენსიფიკაციას. მაგალითად, კერამიკული ფორმების გავარვარების დრო 8 საათიდან 15-20 წუთამდე შემცირდა, სხმულების გაცივებისა — 6 საათიდან 10 წუთამდე. ამან ხელი შეუწყო ყველა საწარმოო პროცესის ავტომატიზაციას. პრინციპულად ახალი ტექნოლოგიის საფუძველზე შეიქმნა ავტომატური ხაზების კომპლექსი, რომელთა წარმადობა 2.500 ტონა ზუსტი სხმულია წელიწადში.

საბჭოთა კავშირის საავტომობილო ქარხნებში დაინერგა კიდევ ერთი სიახლე, მ. ვ. ვასილჩიკოვმა, ვ. ვ. იაკიმანსკიმ, მ. ი. ბასოვმა და სხვა ამხანაგებმა შეიმუშავეს ახალი მეთოდი და შექმნეს მოწყობილობის კომპლექსი მსხვილმოდულიანი კბილანა თვლების დასამზადებლად ნაცვლად შავად დაკუთხვილებისა. ამ სიახლემ საშუალება მოგვცა მნიშვნელოვნად დაგვეჩქარებინა ტექნოლოგიური პროცესი და დაგვეზოგა ბევრი ლითონი. ამჟამად მრეწველობაში მუშაობს 18 კბილსახვევი დგანი, რომლებმაც გამოუშვეს 1,2 მილიონი ცრახნული კბილანა.

ქალაქი ნორილსკი, რომელიც საბჭოთა კავშირის შორეულ ჩრდილოეთში მდებარეობს, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი ცენტრია ფერადი ლითონების წარმოებით. ნორილსკელ მშენებელთა და დამპროექტებელთა კოლექტივმა — მ. ვ. კიმმა, ლ. ი. ანისიმოვმა, მ. ა. ბითაძემ, ბ. ფ. ერმილოვმა და სხვებმა უდიდესი მუშაობა გასწიეს მრავალდარგოვანი სამთოგამამდიდრებელი კომბინატის მშენებლობის დროს პროგრესული ინდუსტრიული მეთოდების დასანერგავად. პირველად ეს განხორციელდა იმიერპოლარეთის მარადგაყინული გრუნტებისა და მკაცრი კლიმატის პირობებში. უაღრესად შემჭიდროებულ ვადებში შეიქმნა საექსპლოატაციოდ საიმედო სამრეწველო და სამოქალაქო შენობები. ამ ნაშრომის მნიშვნელობა სცილდება ნორილსკის ფარგლებს. მას მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის მარადგაყინული გრუნტების გავრცელების ყველა რაიონისათვის.

საბჭოთა ხალხი მხურვალედ ულოცავს ლენინური პრემიის ლაურეატებს და უსურვებს მათ ახალი შემოქმედებითი წარმატებებს. (საქდესი).

ქ. მოსკოვი.

დიდი ქართველი მეცნიერი

აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის დაბადების 90 წლისთავის გამო

◆

ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო საზოგადოებრიობა ამ დღეებში აღნიშნავს დიდი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ივანე ჯავახიშვილის დაბადების 90 წლისთავს. ი. ჯავახიშვილის მოღვაწეობით იწყება ახალი ეტაპი ქართული საისტორიო მეცნიერების განვითარებაში. დიდი ერუდიციის, მაღალი კულტურის, იშვიათი მეცნიერული კეთილსინდისიერებისა და განსაკუთრებული შრომისმოყვარეობის წყალობით ივანე ჯავახიშვილმა ერთბაშად ახალ, მაღალ საფეხურზე, მისი დროის მსოფლიო მეცნიერებისათვის შესაფერ დონეზე აიყვანა ქართული საისტორიო მეცნიერება და ქართველოლოგიის ზოგიერთი მომიჯნავე დარგი. ძნელიც კია დაიჯერო, რომ ერთ ადამიანს შეეძლო ასეთი მრავალმხრივი და ასეთი მასშტაბის სამეცნიერო მემკვიდრეობა დაეტოვებინა ჩვენთვის.

ივანე ჯავახიშვილი დაიბადა 1876 წლის 23 აპრილს ქალაქ სიღნაღში. 1895 წელს, გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, მან სწავლა განაგრძო პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტის ქართულ-სომხურ განყოფილებაზე, სადაც მუშაობდა ისეთი გამოჩენილი მეცნიერების ხელმძღვანელობით, როგორიც იყვნენ ნ. მარი, პ. კოკოვცოვი, ალ. ცაგარელი და სხვ. უნივერსიტეტის დამთავრების და სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების შემდეგ, ივ. ჯავახიშვილი განაგრძობდა მეცნიერულ წრთობას გერმანიაში, საქრისტიანო აღმოსავლეთის იმდროინდელ გამოჩენილ მკვლევართა ხელმძღვანელობით. თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის დასაწყისშივე, 1902 წელს, ივ. ჯავახიშვილი, ნ. მართან ერთად გაემგზავრა შუა საუკუნეების ქართული კულტურის ერთ-ერთ უმთავრეს საზღვარგარეთულ კერაში — სინას მთაზე, იქ დაცული ძველი ქართული ხელნაწერების შესწავლის მიზნით. ორი დიდი ქართველი მეცნიერის ამ ექსპედიციამ, როგორც ცნობილია, ქართულ მწერლობას ბევრი ახალი საყურადღებო ძეგლი შესძინა. ექსპედიციიდან დაბრუნების შემდეგ, 1917 წლამდე, ივ. ჯავახიშვილი კითხულობს ლექციებს პეტერბურგის უნივერსიტეტში და, ამავე დროს, ხშირად ჩამოდის საქართველოში და საჯარო ლექციებით გამოდის აქ საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხზე.

1917 წელს იგი საბოლოოდ უბრუნდება სამშობლოს და ხელს მკიდებს თავისი დიდი ხნის ოცნების — ქართული უნივერსიტეტის დაარსების — პრაქტიკულ განხორციელებას. 1918-1919 წლებში ივ. ჯავახიშვილი იყო ახლადდაარსებული თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანი, ხოლო 1919-1926 წლებში — ამავე უნივერსიტეტის რექტორი. მცირე ხნით საზოგადოებრივ საქმიანობას ჩამოცილების შემდეგ, 30-იან წლებში ივ. ჯავახიშვილი კვლავ აქტიურად ებმება სამეცნიერო-საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგი ხდება საქართველოს მუზეუმისა და კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტის მეცნიერი-კონსულტანტი, ხელმძღვანელობს რუსთაველის სახელობის მუზეუმს და საისტორიო განყოფილებას საქართველოს მუზეუმში, კვლავ იწყებს ლექციების კითხვას უნივერსიტეტში და ა. შ.

მკვლევარის მეცნიერული მიღწევების ფართო აღიარებას წარმოადგენდა 1939 წელს მისი არჩევა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად). 1938 წელს ივ. ჯავახიშვილი დააჯილდოეს შრომის წითელი დროშის ორდენით. ამავე წელს იგი აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად და მისი პრეზიდიუმის წევრად. გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი 1940 წლის 18 ნოემბერს თბილისში, სამეცნიერო მოხსენების კითხვის დროს. სამი დღის შემდეგ მისი ნეშტი სამუდამოდ მიიბარა მისთვის ესოდენ ძვირფასი ქართული უნივერსიტეტის მიწამ.

გასული საუკუნის 80-იანი წლები — განსვენებული მეცნიერის ახალგაზრდობის წლები — მძიმე პერიოდი იყო ქართველი ხალხის ისტორიაში. ცარიზმმა მკვეთრად აიღო იმპერიის არარუსი ხალხების გარუსების გეზი. ქართული ენა და ქართული კულტურა სასტიკად იდევნებოდა სკოლაშიც და საზოგადოებრივ ასპარეზზეც. მაგრამ ამ რუსიფიკატორული პოლიტიკის გაძლიერებას იმ დროს საწინააღმდეგო შედეგიც მოჰქონდა — კიდევ უფრო აღვივებდა ეროვნულ თვითშეგნებას და ხელს უწყობდა მძაფრი პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული მოღვაწეების გამოჩენას, რომელნიც მზად იყვნენ მთელი თავიანთი უნარი, ენერგია, სიცოცხლე მშობლიური ენისა და კულტურის დაცვა-განვითარებისათვის შეეწირათ. ასეთი ადამიანების რიგს ეკუთვნოდა ივ. ჯავახიშვილიც, რომელსაც ქართული კულტურის, ქართული ენისა და საქართველოს ისტორიისადმი სიყვარული ჯერ კიდევ ბავშვობაში ჩაენერგა, ოჯახიდან გამოჰყვა.

გიმნაზიაში იგი, ისევე როგორც ბევრი სხვა ახალგაზრდა, დამოუკიდებლად სწავლობდა ქართულ ენასა და კულტურას, პეტერბურგის უნივერსიტეტში შესვლისთანავე კი სათავეში ჩაუდგა სტუდენტთა ქართულ სათვისტომოს, რომლის წევრებმაც სავალდებულოდ გაიხადეს ქართული ენისა და კულტურის შელახული პოზიციების აღდგენისათვის ბრძოლა.

მრავალი წლის მანძილზე ამავე უნივერსიტეტში ივ. ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრეს, სადაც ქართველოლოგიურ მუშაობასთან ერთად მოხსენებებიც ქართულად იკითხებოდა და მსჯელობაც ქართულად წარმოებდა. ახალგაზრდა მკვლევარი ოცნებობდა ქართველოლოგიის სამეცნიერო ცენტრის პეტერბურგიდან თბილისში გადმოტანაზე. ეს ოცნება თბილისში უნივერსიტეტის გახსნით შეიძლებოდა განხორციელებულიყო. ივ. ჯავახიშვილის ინიციატივით ზემოაღნიშნული სამეცნიერო წრე ცდილობდა ნიადაგი შეემზადებინა ამისათვის — დაუკავშირდა რუსეთში და საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველ მეცნიერებს, აგრეთვე სტუდენტებს და არკვევდა თბილისის მომავალ უნივერსიტეტში მათი გადმოსვლის შესაძლებლობას.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ივ. ჯავახიშვილი, უნივერსიტეტში მის მიერ გაშლილი ცხოველი საქმიანობის გარდა, ბევრი სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიების სულისჩამდგმელი და ინიციატორი გახდა. 1937 წელს ჩატარებულ „ვეფხისტყაოსნის" საიუბილეო დღეებში მისი ხელმძღვანელობით მოეწყო რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურის ბრწყინვალე გამოფენა, რომელმაც წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა, ქართული კულტურა მთელი თავისი სიდიადით წარმოაჩინა და, თავის მხრივ, ბიძგი მისცა ჩვენში არქეოლოგიური კვლევა-ძიების შემდგომ გაშლას. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ივ. ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა და კონსულტაციას უწევდა არქეოლოგიურ სამუშაოებს დმანისში, გეგუთში, მცხეთაში. კარგად არის ცნობილი აგრეთვე ივ. ჯავახიშვილის მოღვაწეობა ძველი ქართული სამწერლო ძეგლების გამოვლინების ან ეთნოგრაფიული მასალის შეკრების დარგში, მეცნიერული კადრების აღზრდის საქმეში და სხვ.

თავისი ქვეყნისა და ხალხის დიდი პატრიოტი, ივ. ჯავახიშვილი ამავე დროს მეცნიერული სინდისის მტკიცე დამცველი იყო და ვერ ეგუებოდა ვერავითარ სიყალბეს, წარსულის განზრახ შელამაზებასა და გაზვიადებას, რა მიზნითაც უნდა ყოფილიყო ეს შთაგონებული.

ი. ჯავახიშვილი კარგად გრძნობდა საქართველოს ისტორიის ფართო ისტორიულ ფონზე შესწავლის აუცილებლობას. ქართველი ხალხის მიერ განვლილი ისტორიული გზა მრავალმხრივ უკავშირდება სხვა ხალხების ისტორიას და ამიტომაც არის საჭირო ამ უკანასკნელის ცოდნა. იგი სამართლიანად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს შესახებ არსებული მრავალრიცხოვანი უცხოური წყაროების საფუძვლიან ცოდნას და თვით ამ მხრივ საუკეთესო მაგალითს იძლეოდა. კლასიკური, აღმოსავლური და ევროპული ენების ბრწყინვალე მცოდნე, იგი ხშირად ამ წყაროების შესწავლისას ბევრად სცილდებოდა საკუთრივ ქართველოლოგიის მოთხოვნილებებს და დამოუკიდებელ ნაშრომებს ქმნიდა სხვა ხალხების ისტორიისა და მისი წყაროთმცოდნეობის დარგში.

ივ. ჯავახიშვილმა საქართველოს ისტორიის მეცნიერული შენობის აგება მართებულად მისი საძირკვლის — წყაროთმცოდნეობითი ბაზის — გამაგრებით დაიწყო. მან, ჯერ ერთი, დიდად გააფართოვა საქართველოს ისტორიის მასალების არე, ფართოდ გაუღო მასში კარი, წერილობითი წყაროების გარდა, მატერიალურ კულტურას, ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ მონაცემებს, ენას და სხვ. ამავე დროს, წყაროების პირუთვნელი და მკაცრი კრიტიკის გარეშე მკვლევარს ვერ წარმოედგინა მეცნიერული ისტორიის შექმნა. ივ. ჯავახიშვილი მუდამ მკაცრ მეცნიერულ მიდგომას იჩენდა წყაროებისადმი. მისთვის უცხო იყო როგორც დიდმპყრობელური, შოვინისტური წრეების ნიჰილისტური დამოკიდებულება საქართველოს ისტორიის წყაროებისადმი, ისე საქართველოს ისტორიის მოყვარულთა წრეში ხშირად გაბატონებული გულუბრყვილო—მოწიწებითი, უკრიტიკო დამოკიდებულება მათდამი.

ასეთი მკაცრი მეცნიერული მიდგომის დაღი აზის მის ფუნდამენტალურ გამოკვლევებს წყაროთმცოდნეობისა და ისტორიის დამხმარე დისციპლინების დარგში: „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა" (1916 წ.), „ქართული პალეოგრაფია" (1925 წ.), „ქართული დიპლომატიკა" (1925 წ.). ამ ნაშრომებით ივ. ჯავახიშვილმა საფუძველი დაუდო საქართველოს ისტორიის მეცნიერების დამხმარე დარგებს და გამოავლინა ამ წყაროთა მნიშვნელობა არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიო ისტორიის თვალსაზრისითაც.

ივ. ჯავახიშვილმა ასევე დიდი შრომა მოახმარა ქართული მატერიალური კულტურის, ისევე როგორც ხელოვნების ზოგიერთი დარგის შესწავლას. მატერიალური კულტურის შესწავლის დარგში მისი ნამუშაკევი მნიშვნელოვანწილად მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ დაისტამბა.

ქართველთა წარმომავლობის საკითხით დაინტერესებამ მკვლევარი ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნებისა და ნათესაობის რთულ პრობლემას შეაჭიდა. 1937 წელს გამოქვეყნებული მისი ხქელტანიანი საენათმეცნიერო ნაშრომი გაოცებას იწვევს იმ ტიტანური შრომით, რომელიც მკვლევარს გაუწევია საკუთრივ საენათმეცნიერო საკითხებზე. ამ ნაშრომმა დიდი გავლენა მოახდინა ქართული ენათმეცნიერების შემდგომ განვითარებაზე.

ივ. ჯავახიშვილი კარგად გრძნობდა საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძვლის — ეკონომიკის შესწავლის დიდ მნიშვნელობას. მისი ნაშრომი „საქართველოს ეკონომიური ისტორია" შეიცავს უძვირფასეს მასალას ძველ საქართველოში მეურნეობის მთელი რიგი დარგების (კერძოდ, სოფლის მეურნეობის) შესასწავლად, ფაქიზ ტერმინოლოგიურ ანალიზს, გონებამახვილურ დასკვნებს ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმომავლობისა და გავრცელების გზების შესახებ.

დიდ ყურადღებას უთმობდა მკვლევარი ძველი ქართული საზოგადოების სოციალური სტრუქტურის, სახელმწიფოებრივი წყობილების და სხვა ამ რიგის საკითხების შესწავლას. ძვირფასი ტერმინოლოგიური და სხვა ანალიზი, რასაც შეიცავს ამ მხრივ მისი „ქართული სამართლის ისტორია" დღესაც ფასდაუდებელ ნაშრომად რჩება ამ დარგში მომუშავე სპეციალისტებისათვის.

ივ. ჯავახიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობაში საპატიო ადგილი უჭირავს აგრეთვე წიგნების სერიას „ქართველი ერის ისტორია", რომელიც ფაქტიურად წინაფეოდალური და ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური ისტორიისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე დაწერილ მონოგრაფიულ გამოკვლევებს შეიცავს. „ქართველი ერის ისტორიის" პირველ წიგნში, კერძოდ, ყურადღებას იქცევს ძველი ქართული წარმართული პანთეონის აღდგენის შესანიშნავი ცდა და საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრების შესახებ წყაროების დეტალური ანალიზი; მეორე წიგნში — ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევი, აგრეთვე საქართველოში არაბთა ბატონობის ფორმების და საქართველოს გაერთიანების პროცესის შესწავლა, ისევე როგორც ამ ეპოქის მთელი რიგი სოციალური მოძრაობების ანალიზი; მესამე წიგნი შეიცავს გამოკვლევას საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ურთულესი პერიოდის (XIII-XIV სს.) შესახებ, მეოთხეში XV-XVI სს-ის ვითარებაა შესწავლილი და ა. შ.

ფაქტიურად არ დარჩენილა საქართველოს ისტორიის, მისი დამხმარე და მომიჯნავე ქართველოლოგიური დისციპლინების არც ერთი უბანი, რომელსაც ივ. ჯავახიშვილის მადლიანი ხელი არ შეხებოდეს, რომელიც მისი მძლავრი ტალანტის და გატაცებული ძიების კვალს არ ატარებდეს.

დღესაც ივ. ჯავახიშვილის მეცნიერულ მემკვიდრეობას საპატიო ადგილი უჭირავს ქართული მეცნიერების საგანძურში. რა თქმა უნდა, მას, ისევე როგორც ყველა სხვა, ცოცხალი თუ გარდაცვლილი, დიდი თუ პატარა მეცნიერის მემკვიდრეობას ჭეშმარიტად მეცნიერული კრიტიკული მიდგომა ესაჭიროება. დღეს ბევრი რამე ახლებურ მიდგომას, ახლებურ გადაწყვეტას მოითხოვს, არა ერთი საკითხის წყაროთმცოდნეობითი ბაზის კიდევ უფრო გაფართოებასა და გაღრმავებულ ანალიზს საჭიროებს. ყველაფერი ეს კანონზომიერი და ბუნებრივია.

ივანე ჯავახიშვილის ნათელი სახელი მუდამ დაამშვენებს ქართული მეცნიერების ისტორიას.

გ. მელიქიშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი, ლენინური პრემიის ლაურეატი.

ხალხის სიყვარული, აღიარება

ქართველი გლეხის — გიორგი მახარაშვილისათვის, რომელმაც დაკარგული შვილის ძებნაში შემოიარა ფრონტის გზები, ომი იქცა გამოცდილების იმ სარკმლად, საიდანაც მთელი სამყარო გამოჩნდა თავისი მრავალმხრივობით, ხოლო ამ როლის წარმომსახველმა სერგო ზაქარიაძემ ეკრანი აქცია იმ სარკმლად, რომლიდანაც არც ერთ მშვიდობისმოყვარე მართალ და კეთილ ადამიანს არ შეუძლია გულგრილად უყუროს მახარაშვილის ალალმართალი ბუნებით შეცნობილ სამყაროს. მსახიობმა თითქმის მთელი მსოფლიო „აიძულა" ყოველივე განეცადა თავისი გმირის ცხოვრებით და მასთან ერთად მოხვედრილიყო ტრაგიკული, მხიარული და მღელვარე ამბების ორომტრიალში.

„საიდუმლოდ გეტყვით, — თქვა ამასთან დაკავშირებით მოსკოვის IV საერთაშორისო კინოფესტივალის დროს კინომსახიობმა ტატიანა სამოილოვამ, — ფილმის დემონსტრირების დროს რამდენჯერმე ვტირე კიდეც. პირველად მომერიდა, შემდეგ მიმოვიხედე და დავინახე: ჩემს გვერდით ტიროდნენ კუბელი სტუმარი და ცნობილი ფრანგი მსახიობი მარინა ვლადი..." შემდეგ კი ამ ფილმის ნახვის დროს ტიროდნენ და იცინოდნენ ამერიკელები და იტალიელები, ინგლისელები და — საოცრებაა!.. გერმანელებიც კი. უფრო საკვირველი ის არის, რომ შესაძლოა ამ ფილმის ნახვის დროს ახლაც ტირიან და იცინიან ის გერმანელები, რომელთა წინააღმდეგაც თავის დროზე მამაცურად იბრძოდა ქართველი გმირიც და რომლებიც კვლავ ოცნებობენ ახალი ომის დაწყებაზე.

ფილმმა „ჯარისკაცის მამამ" ტრიუმფით შემოიარა მსოფლიო. ჟურნალისტები წერენ, რომ მახარაშვილთან ერთად სერგო ზაქარიაძემაც გაიარა „ბრძოლის მძიმე გზა", და ამაში სრული სიმართლეა. უფრო მეტიც... სსრ კავშირის სახალხო არტისტმა სერგო ზაქარიაძემ არა მარტო ამ გმირით, არამედ მთელი თავისი საინტერესო შემოქმედებით გაიარა „ბრძოლის მძიმე გზა". ამ გზაზე სიმძიმესთან ერთად ბევრი სიხარული და ბედნიერება განიცადა. მაგრამ ყველაზე უდიდესი ბედნიერება მაინც ქართველმა გლეხმა მახარაშვილმა მოუტანა. ეს გასაგებიც არის. მახარაშვილის სახეში მთელი სრულყოფით გამოვლინდა არა მარტო მსახიობური შესაძლებლობანი, არამედ თვითონ ზაქარიაძის, როგორც მოქალაქის ჰუმანიური შეხედულებანი, მისი მართალი და გულწრფელი დამოკიდებულება ადამიანებისადმი.

თეატრისა და კინოს ოსტატმა დიდი ხანია გამოავლინა ღრმად ეროვნული და ჭეშმარიტად ადამიანური სახეების გამოძერწვის უნარი. ოცდაათ წელზე მეტია მას შემდეგ, რაც მან პირველი ნათლობა მიიღო კინოში (ახალგაზრდა ხევსურის თორღვაის როლი შეასრულა ს. დოლიძის „უკანასკნელ ჯვაროსნებში"). მას შემდეგ მრავალი საინტერესო სახე შექმნა კინოსა და თეატრში და ყოველ როლში მაყურებელს თვალში ხვდებოდა დამახასიათებელი ნიშანთვისება. იგი კი არა „თამაშობს" როლს, არამედ ცხოვრობს გმირის ცხოვრებით. ეკრანზე ეს მით უფრო შესამჩნევია, რადგან იგი ძირითადად მაინც თეატრის მსახიობია (ყოველ შემთხვევაში ასე ფიქრობს თვითონ ზაქარიაძეც), ხოლო კინომ, რომლისთვისაც უცხოა ყოველგვარი „თეატრალობა", ბევრი სცენის ოსტატი დაამარცხა ეკრანზე. მაყურებლებს არ დაავიწყდებათ ზაქარიაძის მიერ ეკრანზე უშუალოდ და გულწრფელობით წარმოსახული როლები: სიმონა (ს. დოლიძის „დარიკო"), შადიმან ბარათაშვილი (მ. ჭიაურელის „გიორგი სააკაძე"), პეტრე ბაგრატიონი (ვ. პეტროვის „კუტუზოვი"), ივანე (ს. დოლიძის „პალიასტომი"), ფოსტალიონი („დღე პირველი, დღე უკანასკნელი"), მოხუცი (რ. ჩხეიძის — „ზღვის ბილიკი") და სხვ...

ს. ზაქარიაძე ბუნებამ დიდი შრომისუნარიანობით დააჯილდოვა. იშვიათია მსახიობი, რომელსაც ასეთი ნებისყოფა და თვითკრიტიკული დამოკიდებულება ჰქონდეს ხელოვნებაში. აღსანიშნავია მისი მსახიობური გარდასახვის უნარი. მას შეუძლია ერთნაირი შთაგონებით განასახიეროს ჯიბილოც („კოლმეურნის ქორწინება") და ოიდიპოსიც („ოიდიპოს მეფე"), ნიკო ფიროსმანიშვილიც („ფიროსმანი") და კაცი მანტიით („როცა ასეთი სიყვარულია"), გიორგი („რაიკომის მდივანი") და ლირი („მეფე ლირი").

მსახიობს კარგად ესმის კინოსა და თეატრის სპეციფიკური სხვაობა. ისიც იცის, თუ რა დიდი მომავალი აქვს კინოს, და თუ მაინც ამჯობინებს თეატრის „ჯარისკაცად" დარჩენას, ესეც უთუოდ მის იმ შემოქმედებით დაუცხრომლობას მიეწერება, თეატრის ყოველდღიური ცხოვრებისათვის რომ არის დამახასიათებელი. თეატრის მსახიობი ხომ ყოველდღე ახლებურად განასახიერებს ერთსა და იმავე როლსაც სცენაზე.

ახლა, როცა კვლავ დიდი წარმატებით სარგებლობს ეკრანზე ქართველი გლეხი მახარაშვილი, როცა ყველას გულში სწვდება მისი შრომისა და მიწის სიყვარული, მისი სიმამაცე, გამძლეობა, მამაშვილური გრძნობა და სამშობლოსადმი ერთგულება, არ შეიძლება მადლიერების გრძნობით არ განვიმსჭვალოთ შემოქმედისადმი, რომელმაც ამ როლში ჩააქსოვა თავისი ხალასი ნიჭი და უდიდესი შრომა, კეთილშობილება და ხალხისადმი უანგარო სიყვარული. ზაქარიაძემ წარმოგვიდგინა შეიძლება გარეგნულად არც თუ მაინცდამაინც მიმზიდველი ქართველი გლეხი, მაგრამ შინაარსობრივად იმდენად მშვენიერი, რომ ესთეტიკური თვალსაზრისით იგი ბევრისთვის ამ უკანასკნელის განმსაზღვრელ საუკეთესო მაგალითადაც კი რჩება. მსოფლიოს შეუყვარდა მახარაშვილი და თვითონ მსახიობსაც ყველა თავის გმირზე მეტად უყვარს იგი, რადგან ამ სახეში ყველაზე მეტი სიღრმით გამომჟღავნდა კერძოდ ქართველი და საერთოდ ადამიანი.

ეს სახე შევიდა არა მარტო ჩვენი ეროვნული კინოხელოვნების, არამედ მსოფლიო კინოხელოვნების საგანძურში როგორც ეროვნულისა და ინტერნაციონალურის საუკეთესო გამოხატულება. იგი აფიქრებს ადამიანებს, აფიქრებს ცხოვრებაზე, ხვალინდელ დღეზე და მარტო ფიქრიც კი აკეთილშობილებს თვითეულს. მაყურებელი განიცდის ცხოვრების სიხარულს. ამ დიდი სიხარულის სასყიდლად კი ხელოვანმა ჯილდოდ მიიღო ხალხისავე სიყვარული და მსოფლიო აღიარება, რომლის უდიდეს ხორცშესხმას ლენინური პრემია წარმოადგენს.

ბ. ბარამიძე.

• • •

სურათზე: კადრი ფილმიდან „ჯარისკაცის მამა".

მუზეუმის ინიციატივა

ცაგერი. („კომუნისტის" კორ.). ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი აქტიურად ებმება მუზეუმების სრულიად საკავშირო დათვალიერებაში, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს ეძღვნება. მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მიერ ახლახან მოწყობილ პირველ სამეცნიერო სესიას 400-ზე მეტი კაცი დაესწრო.

სამეცნიერო სესიაზე საინტერესო მოხსენებები წაიკითხეს საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის პირველმა მდივანმა კ. სილაგაძემ, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა მ. ძველაიამ, პარტიის ცაგერის რაიკომის მეორე მდივანმა ლ. ჩიქოვანმა, მუზეუმის დირექტორმა ვლ. თოლაძემ, მეცნიერმა მუშაკმა ჯ. სალინაძემ, დამსახურებულმა მასწავლებელმა, სამეცნიერო საბჭოს წევრმა მ. კოპალიანმა.

ლენინური პრემიის ლაურეატები

კ. ლ. რასკინი.

მ. ი. ნეუმინი.

ბ. ა. იაზოვი.

პ. ფ. დიაკოვი.

ნ. უ. იმაშევი.

ნ. ნ. ეხინი.

მ. ვ. კიმი.

ვ. ხ. ნეპოკოიჩიცკი.

ა. ა. ბლახტოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის საერთაშორისო

ჩვენი ინტერვიუ

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში 19 აპრილიდან მიმდინარეობს 23-ე სხდომა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მანქანათმშენებლობის დარგის მუდმივი კომისიის ავტომატიზაციისა და ხელსაწყოთმშენებლობის სექციისა. (მერვე სექცია). აქ განიხილავენ ტექნოლოგიური პროცესების ავტომატური კონტროლის რეგულირებისა და მართვის საერთაშორისო უნივერსალური სისტემის შექმნასთან დაკავშირებულ საკითხებს, ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებში ხელსაწყოთა და მოწყობილობათა წარმოების სპეციალიზაციის პრობლემებს და სხვ.

სოციალისტური ბანაკის 8 სახელმწიფოს ხელსაწყოთმშენებლობის დარგის 70-მდე თვალსაჩინო მეცნიერი და სპეციალისტი იღებს მონაწილეობას თათბირის მუშა კომისიების სხდომებზე საკითხების განხილვაში. აქ არიან ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის, სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დელეგაციები, მეთვალყურედ — იუგოსლავიის ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის წარმომადგენლები.

მას შემდეგ, რაც პლენარული სხდომა გახსნა სექციის თავმჯდომარემ ამხ. გ. ზიგელსმა (გდრ), სხდომის მონაწილეებს საქართველოს სსრ მთავრობის სახელით მიესალმა და მუშაობაში წარმატებები უსურვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ნ. გომელაურმა.

სხდომებს შორის შესვენებების დროს ჩვენს კორესპონდენტს საუბარი ჰქონდა თათბირის ზოგიერთ მონაწილესთან და სთხოვა მათ თავიანთ შთაბეჭდილებებზე ეამბნათ გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებისათვის. აი რა თქვეს მათ:

ვიქტორ კერბუნოვი,

სსრ კავშირის დელეგაციის ხელმძღვანელი

ავტომატური კონტროლის რეგულირებისა და მართვის სისტემის შემუშავება და მისი წარმოების ორგანიზაცია წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას, რომელიც დგას ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მერვე სექციის წინაშე. ამჟამად ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრმა ქვეყნებმა ძირითადად დაამთავრეს აღნიშნული სისტემის შემუშავება და შეუდგნენ წარმოების სპეციალიზაციის ორგანიზაციისა და ხელსაწყოთა ურთიერთმიწოდების საკითხების გადაწყვეტას. ეს დიდად ხელსაყრელია თვითეული სოციალისტური ქვეყნისათვის. ეს მათ საშუალებას აძლევს მკვეთრად შეამცირონ მოწყობილობათა და ხელსაწყოების სახალხო მეურნეობაში დანერგვის ვადები.

— საქართველოს დედაქალაქში ამ თათბირის მოწვევა, — ამბობს ამხ. კერბუნოვი, — იმანაც განაპირობა, რომ აქ მძლავრად ვითარდება და მაღალ დონეზე დგას ხელსაწყოთმშენებლობა. სისტემის მთელი რიგი ხელსაწყოები და მოწყობილობა მზადდება რესპუბლიკის ხელსაწყოთმშენებლობის საწარმოებში. თათბირის მონაწილეთა სახელით მინდა გამოვთქვა მადლობა რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოებისადმი და თათბირის ორგანიზატორებისადმი ჩვენს მუშაობასა და დასვენებაში საუკეთესო პირობების შექმნისათვის.

გეორგე ტუნსოიუ,

რუმინეთის დელეგაციის ხელმძღვანელი

ჩვენი სექციის XXIII სხდომა სხვა სხდომებზე უფრო მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რადგან მასზე გამომუშავებულ იქნა რეკომენდაციები უნივერსალური სისტემის მრავალი ხელსაწყოს სპეციალიზაციის დარგში. ჩვენს სექციაში ოთხ წელზე მეტია წარმოებს სამეცნიერო-კვლევითი და სამეცნიერო-საკონსტრუქტორო მუშაობა. ამ თათბირის შემდეგ კი დაიწყება ახალი სისტემის ხელსაწყოთა დანერგვა წარმოებაში. ამიერიდან ჩვენც, რუმინელებს, საშუალება გვეძლევა შევამციროთ და სულ მალე შევწყვიტოთ ხელსაწყოთა იმპორტი კაპიტალისტურ ქვეყნებიდან. ამ თათბირზე გამომუშავებულ იქნა ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობს მაღალხარისხოვან ხელსაწყოთა მსოფლიო დონეზე შექმნას.

გულითადი მადლობა ქართველ ხალხს ასეთი სტუმართმოყვრული მიღებისათვის თავის მშვენიერ დედაქალაქ თბილისში.

ტადეუშ პოდგურსკი,

პოლონეთის დელეგაციის ხელმძღვანელი

ამ თათბირით წარმატებით დამთავრდა მუშაობა პირველ ეტაპზე წარმოების სპეციალიზაციის დარგში. სპეციალიზაციის გატარება საშუალებას მოგვცემს ზუსტად განვსაზღვროთ ხელსაწყოთა ურთიერთ მიწოდება. მე პირველად ვარ საქართველოში, თბილისში, და უნდა გითხრათ, მოხიბლული ვარ თქვენი ქალაქით, ხალხით. ქუჩაში, საზოგადოებრივ საკრებულო ადგილებში, ყველგან სიმპათიით გვეპყრობიან. რა ლამაზია თქვენი ქალაქი, როგორ ამწვანებულა იგი! ჩვენ ვარშავაში მხოლოდ ახლა ვიწყებთ მეტროს მშენებლობას, თქვენ კი იგი უკვე გქონიათ. დიდებულია თქვენი მეტრო.

იმრე ფიშერი.

უნგრეთის დელეგაციის ხელმძღვანელი

ბედნიერი ვარ, მეორედ რომ ვარ თქვენს ქალაქში. პირველად აქ ვიყავი 1962 წლის მაისში ამავე — ჩვენი სექციის სხდომებზე. ამ ხნის განმავლობაში დიდი ცვლილებები მომხდარა. ბევრი უბანი ვერც კი ვიცანი, რა დიდი მშენებლობაა!.. ახლა მეტრო! — რა დიდებულია იგი!

ჩვენი სექციის სხდომებზე ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ხელსაწყოთა და მოწყობილობათა სპეციალიზაციის დარგში რეკომენდაციების შემუშავება. სწორედ ეს არის ძირითადი მიზანი ავტომატური კონტროლის რეგულირებისა და მართვის საერთაშორისო უნივერსალური სისტემის შექმნის სამუშაოებში. მე, უკვე შეიძლება ითქვას, ამ სექციის უხუცესი წევრი ვარ — ათი წელია მის მუშაობაში ვიღებ მონაწილეობას, და სექციის თბილისის წლევანდელ თათბირს მეტად დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. იგი მნიშვნელოვანია ყველა წევრისათვის. უნდა აღვნიშნო, რომ საზომ ხელსაწყოთა ტექნოლოგიის დარგის ჩვენს ცენტრალურ ლაბორატორიას სამეცნიერო-ტექნიკური მეგობრობა აქვს თბილისელ კოლეგებთან. ჩვენი მეგობრობა მომავალში უფრო გაფართოვდება.

* * *

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მანქანათმშენებლობის დარგის მუდმივი კომისიის ავტომატიზაციისა და ხელსაწყოთმშენებლობის მერვე სექციის 23-ე სხდომა მუშაობას განაგრძობს. იგი 27 აპრილამდე გასტანს.

ცივ გომბორის მთათა კალთებს არწივის ბუდესავით მიჰკვრია ხევსურთა სოფელი ბუდაანი. აქ ბევრი ახალგაზრდა მეგულება, რომლებიც საშუალო სკოლაში სწავლის პარალელურად ახმეტის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში სასახელოდ შრომობენ.

ამ სურათზე აღბეჭდილია ორი მათგანი — დარეჯან (მარცხნივ) და ხანათა გოგოჭურები. ისინი თავისუფალ დროს ბუნების წიაღში ატარებენ. მათ საოცნებოსა და საფიქრალს რა დალევს.

ფოტო ვ. ყუშიტაშვილისა.

საქდესის ცნობა

კოსმოსური ობიექტების ახალ სისტემათა დამუშავების მიზნით 1966 წლის 25 აპრილიდან 31 ივლისამდე საბჭოთა კავშირში განხორციელდება მატარებელი რაკეტების გაშვებანი წყნარი ოკეანის აკვატორიის რაიონებში, რომლებიც იფარგლება:

— 40 საზღვაო მილი რადიუსის წრეწირით, რომლის ცენტრის კოორდინატებია ჩრდილოეთის განედის 37 გრადუსი და 14 მინუტი და აღმოსავლეთის გრძედის 172 გრადუსი და 49 მინუტი;

— 40 საზღვაო მილი რადიუსის წრეწირით, რომლის ცენტრის კოორდინატებია ჩრდილოეთის განედის 26 გრადუსი და 50 მინუტი და აღმოსავლეთის გრძედის 176 გრადუსი და 10 მინუტი.

საქდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საბჭოთა კავშირის მთავრობა სთხოვს სხვა ქვეყნების მთავრობებს, რომლებიც საზღვაო და საჰაერო გზებით სარგებლობენ წყნარ ოკეანეში, მისცენ მითითება შესაბამის ორგანოებს, რომ გემები და თვითმფრინავები არ შევიდნენ აკვატორიის და საჰაერო სივრცის ამ რაიონებში ყოველდღიურად დღის მეორე ნახევარში 12-დან 24 საათამდე ადგილობრივი დროით.

„სკოლა და ცხოვრება“ № 4

გამოვიდა და ხელმომწერლებს ურიგდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ყოველთვიური სამეცნიერო-პედაგოგიური ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“ № 4.

სპორტი

ფინალის პირველი მატჩები

სანტიაგოში დაიწყო ჩილის კალათბურთის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი დიდი საერთაშორისო ტურნირის ფინალური შეხვედრები.

პირველ მატჩში საბჭოთა ნაკრებს პაექრობა ჰქონდა იუგოსლავიის გუნდთან და გაიმარჯვა 53:49 (20:24). ჩვენს ნაკრებს ყველაზე მეტი ქულა (12) მოუტანა ზ. საკანდელიძემ.

შეუპოვარი ბრძოლით გამოირჩეოდა ბრაზილიისა და ესპანეთის გუნდების მატჩი, რომელიც ბრაზილიელებმა მოიგეს 68:66. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ბულგარეთის გუნდების შეხვედრა დამთავრდა ამერიკელთა გამარჯვებით 79:69 (30:40).

◆

სსრ კავშირის თასზე

„ბ“ კლასის ფეხბურთელთა გუნდები ჩაებნენ სსრ კავშირის თასისათვის ბრძოლაში.

გუშინ სოხუმის „დინამომ“ დაამარცხა რუსთავის „მეტალურგი“, 6:0, ზუგდიდის „ენგურმა“ — ფოთის „კოლხიდა“ 4:1. გურჯაანის „ალაზანისა“ და ტყიბულის „მეშახტის“ მატჩის შედეგია 1:1. დღეს ისინი განმეორებით შეხვდებიან ერთმანეთს.

ნეაპოლის კორტებზე

ნეაპოლში მიმდინარეობს საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში. სხვებთან ერთად აქ გამოდიან საბჭოთა სპორტსმენები **თ. ლეიუსი, ა. მეტრეველი, ს. ლიხაჩოვი და ა. ივანოვი.**

ოთხივე საბჭოთა ჩოგბურთელი მეოთხედფინალში გავიდა. ბრძოლის შემდგომ ეტაპზე წარმატებას მხოლოდ **ლიხაჩოვმა** მიაღწია; რომელმაც მოუგო **ივანოვს.** **ლეიუსი და მეტრეველი** დამარცხდნენ.

ლიდერის დამარცხება

ერთი დღის შესვენების შემდეგ გუშინ ხარკოვში წყალბურთელებმა განაახლეს ბრძოლა.

ამ დღის ცენტრალურ მატჩს წარმოადგენდა ლიდერის — სამხედრო-საზღვაო ფლოტის გუნდის შეხვედრა მოსკოვის უნივერსიტეტის წყალბურთელებთან. გაიმარჯვეს სტუდენტებმა 4:3, ლენინგრადის „ბალტიკამ“ მოუგო თბილისის „დინამოს“ ანგარიშით 6:5.

◆

პირველი ყაიმი

გუშინ თბილისის რესპუბლიკურ საჭადრაკო კლუბში გაიმართა ოსტატების **ბუსლაევისა და ჯინჯიხაშვილის** მატჩის პირველი პარტია ჩემპიონის გამოსავლინებლად. 30-ე სვლაზე მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

დედამიწა და იკაროსი

დედამიწაზე ცოტა როდია იმ გრანდიოზული კატასტროფების კვალი, რომლებიც ჩვენს პლანეტაზე ციური სხეულების დაუპატიჟებელ სტუმრობებს გამოუწვევიათ. საკმარისია გავიხსენოთ უზარმაზარი არიზონის კრატერი, ტუნგუსის ტყე, მეტეორიტული კრატერები კანადაში, ავსტრალიაში არაბეთში, სამხრეთ ამერიკასა და ევროპაშიც კი... ბუნების ყველა ეს დიდი კატასტროფა წარსულში მომხდარა, მათზე ბევრი თქმულა და დაწერილა...

1968 წლის ივნისის შუა რიცხვებში დედამიწიდან რამდენიმე მილიონი კილომეტრის დაშორებით გამოჩნდება კოსმოსური სტუმარი — ასტეროიდი, რომელსაც იკაროსი ჰქვია.

ახალი ამბების სააგენტო მკითხველებს აცნობს წერილს ჟურნალ „ტეხნიკა მოლოდიოჟიდან“, რომელშიც ლაპარაკია ამ ციური სხეულის მოსალოდნელ მოახლოებაზე.

იკაროსი სხვა ციურ სხეულებთან შედარებით პაწაწაა — მისი დიამეტრი სულ რაღაც ერთნახევარი კილომეტრია. სწორედ ამიტომაც არის შესაძლებელი, რომ იგი მიზიდულ იქნას ჩვენი პლანეტის მიერ, უფრო სწორად, მასათა დიდი სხვაობის გამო ასტეროიდი დედამიწას დაეცეს. რა მოხდება მაშინ?

ერთნახევარი კილომეტრი უმცირესი საზომია მხოლოდ პლანეტათა სამყაროში. მაგრამ აბა სცადეთ და წარმოიდგინეთ ერთნახევარი კილომეტრი დიამეტრის მქონე, დედამიწის ატმოსფეროში ხახუნით გავარვარებული ბურთი, რომელიც დაჩქარებით მოგვიახლოვდება?! სად დაეცემა იგი? კარგი იქნება, თუ ეს მოხდება უდაბნოში, ან უდაბურ მთაგრეხილებში — დასახლებული ადგილებისაგან შორს. ცნობილი არიზონის კრატერიც კი — დედამიწაზე ციური სტუმრის ჩამოვარდნის გრანდიოზული მოწმე — შექმნილია გაცილებით ნაკლები მასის მქონე სხეულით. იკაროსის დაცემის ეფექტი შეიძლება შევადაროთ ერთი, ან შეიძლება მეტი თანამედროვე უდიდესი ატომგულის ბომბის აფეთქებას, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ იგი არ გამოიწვევს მომდევნო რადიოაქტიურობას.

თუ ოკეანეში ჩავარდა (ოკეანეს ხომ დედამიწის ზედაპირის 0,7 უჭირავს), იკაროსს შეუძლია გამოიწვიოს ისეთი კატასტროფა, რომელმაც ტოლი არ დაუდოს და შეიძლება გადაამეტოს კიდეც ლეგენდარულ უძველეს წარღვნებს. გრანდიოზული მოქცევის ტალღები — ცუნამი, რომელიც წარიმართება ჩრდილოეთისა და სამხრეთისაკენ, დასავლეთისა და აღმოსავლეთისაკენ, დედამიწის მთელი ქერქის შეტორტმანება, გამანადგურებელი ქარიშხლები, რომლებსაც ბალისტიკური ტალღა გამოიწვევს, წარმოუდგენელი კოკისპირული წვიმები (როცა კონდენსირებული წყალი აორთქლდება გავარვარებულ გიგანტთან შეხების შედეგად), ბიძგით გამოწვეული ვულკანური და ტექტონიკური მოქმედების გაძლიერება — აი როგორი იქნება ზოგიერთი მოსალოდნელი შედეგი, რომლებსაც ასეთი დაცემა გამოიწვევდა. ხოლო თუ იკაროსი ხმელეთზე დაეცა, მაშინ, რა თქმა უნდა, კოკისპირული წვიმები შეიძლება არ იქნეს, მაგრამ სამაგიეროდ ჰაერი დიდი ხნით დაიფარება აფეთქების დროს ავარდნილი მტვერით, როგორც ეს მოხდა 1883 წელს კრაკატაუს ამოფრქვევის დროს. ჰაერში აჭრილი მტვერი დაფარავს მზის ცხოველმყოფელ გამოსხივებას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მსოფლიო მოუსავლიანობა. საყოველთაო აციება და სხვა არასასიამოვნო მოვლენები. რა თქმა უნდა, იკაროსთან შეჯახებით დედამიწა ნაწილ-ნაწილად არ დაიმსხვრევა, მაგრამ კაცობრიობას უამისოდაც უმძიმესი სიძნელეები დაემუქრება.

ახლავე უნდა ითქვას, რომ მსგავსი კოსმოსური შეჯახებანი შესაძლებელია. ჩვენ გვაქვს იმის უეჭველი საბუთები, რომ დედამიწას არაერთხელ ჰქონია ისეთ ობიექტებთან დრამატული შეხვედრები, რომლებიც სიდიდით უახლოვდებოდნენ იკაროსს, ან სჭარბობდნენ კიდეც მას. მაგალითად, არიზონაში ოდესღაც ჩამოვარდნილ მეტეორიტს შეიძლება პატარა ასტეროიდი ეწოდოს. სულ ახლახან — 1937 წლის ოქტომბერში — ასტეროიდმა ჰერმესმა დედამიწას ჩაუარა სულ რაღაც 800.000 კილომეტრის დაშორებით. მისი მოახლოება რომ კიდევ რამდენიმე წუთს გაგრძელებულიყო, შეჯახება გარდუვალი იქნებოდა, მაგრამ ორივე ციურმა სხეულმა ბოლო მომენტში გვერდი აუარა ერთმანეთს. და არც ერთ ჩვენგანს არ შეუნიშნავს, რომ დედამიწა საფრთხეში იყო.

ნიშნავს თუ არა ეს, რომ 1968 წლის ივნისში კატასტროფას უნდა ველოდოთ?

სრულებითაც არა. დედამიწის არსებობის დროიდან იკაროსს, უეჭველია, აურაცხელჯერ ჩაუვლია დედამიწის ახლოს. აქამდე ამ შეხვედრების დროს ყველაფერი მშვიდობიანად მთავრდებოდა, თუმცა ადგილი შესაძლებელია, რომ მანძილი დედამიწასა და ასტეროიდს შორის ზოგჯერ არც კი ყოფილიყო ამჟამად მოსალოდნელზე მეტი. ახლა ორბიტების გადაკვეთის მომენტში იგი 11.520.000 კილომეტრი იქნება. იმისათვის, რომ იკაროსი დედამიწას შეეჯახოს, ორბიტების უბრალო გადაკვეთა საკმარისი არ არის: საჭიროა ორივე სხეული სივრცის ერთსა და იმავე წერტილში აღმოჩნდეს ერთსა და იმავე დროს.

იკაროსის ორბიტის ასეთი კატასტროფული შეცვლის მოსალოდნელობა, ასტრონომთა გამოანგარიშებით, არ აღემატება ერთ შემთხვევას მილიონში. ამ თამაშში ძალზე ბევრი ფაქტორი მონაწილეობს და საჭიროა შესრულდეს მეტად ბევრი ურთიერთსაწინააღმდეგო პირობა. ხოლო თუ ვილაპარაკებთ სივრცის ერთ წერტილში იკაროსისა და დედამიწის ერთდროული შეხვედრის შესაძლებლობაზე, მაშინ იგი თავის მხრივ ერთ მეათასედს შეადგენს. უბრალო გამოანგარიშება გვიჩვენებს, რომ შეჯახების მოსალოდნელობა, მართალია, არ შეიძლება ნოლამდე დავიყვანოთ, მაგრამ იგი იმდენად მცირეა, რომ შეიძლება მეტისმეტად არც ვიღელვოთ. ხოლო შეკითხვაზე: შეხვდებიან თუ არა ერთმანეთს დედამიწა და იკაროსი? — შეიძლება მშვიდად ვუპასუხოთ: — არა!

მუსიკის პროპაგანდას მიუძღვნეს

ქუთაისი. (საქ. კორ.). აქ გაიმართა თანამედროვე ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებისადმი მიძღვნილი კონფერენცია.

კონფერენციაზე მოისმინეს გრამფირფიტებზე ჩაწერილი ახალი ნაწარმოებები. საბჭოთა და საზღვარგარეთის პროგრესული მუსიკის პოპულარიზაციას მიუძღვნეს თავიანთი გამოსვლები კომპოზიტორებმა ა. ბალანჩივაძემ და შ. მილორავამ, მუსიკათმცოდნემ ე. მაჭავარიანმა და სხვებმა.

დასასრულ ქუთაისის მ. ბალანჩივაძის სახელობის მუსიკალური სასწავლებლის მოსწავლეებმა კონცერტი გამართეს.

პ. ი. ფრანგიშვილი

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებრიობამ დიდი დანაკლისი განიცადა. ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა თვალსაჩინო რეჟისორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, პავლე იაკობის-ძე ფრანგიშვილი.

თეატრის მოღვაწეთა რიგებს გამოაკლდა ნიჭიერი, ხალხისა და სცენის უერთგულესი მსახური, მუდამ ცეცხლოვანი, მუდამ აღფრთოვანებული ქართული თეატრის წინსვლითა და აღორძინებით.

პავლე იაკობის-ძე ფრანგიშვილი დაიბადა 1896 წელს ქ. თბილისში, მუშის ოჯახში. ქართული რეალისტური თეატრის კორიფეებმა ლადო მესხიშვილმა და ვალერიან გუნიამ ჩაუნერგეს მას სცენის სიყვარული და შემდეგ თეატრში ჰპოვა ცხოვრების მიზანი; დაუღალავი შრომითა და შეუპოვარი ძიებით იგი დამწყები მსახიობიდან გაიზარდა აღიარებულ რეჟისორამდე, თეატრის ნიჭიერ ხელმძღვანელამდე.

1919 წელს პავლე ფრანგიშვილი რეჟისორობას იწყებს ნაძალადევისა და ავჭალის აუდიტორიებში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ პავლე ფრანგიშვილი განახლებული ენერგიით შეუდგა თავის საყვარელ საქმიანობას; სხვადასხვა დროს მოღვაწეობს ნაძალადევის აუდიტორიაში, რუსთაველის სახელობის, ქუთაისის, ფოთის, სამტრედიის თეატრებში.

1926-1939 წლებში იგი ჭიათურის მუშათა თეატრის ხელმძღვანელია.

1939 წელს ქ. გორში გაიხსნა ახალი თეატრი. მის ხელმძღვანელად დაინიშნა პავლე ფრანგიშვილი. გორის თეატრმა თავისი რეალისტური შემოქმედებით რესპუბლიკის ერთ-ერთი მოწინავე თეატრის რეპუტაცია დაიმსახურა.

1948 წლიდან პავლე ფრანგიშვილი კვლავ უბრუნდება ჭიათურის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრს და ჩვეული ენერგიითა და ენთუზიაზმით ხელმძღვანელობს მას.

თეატრის მაღალნიჭიერი ორგანიზატორი, გაბედული რეჟისორი და გულისხმიერი პედაგოგი მრავალ ახალგაზრდა მსახიობს, რეჟისორსა და თეატრალურ მხატვარს დაეხმარა პროფესიულ სრულყოფა-დაოსტატებაში.

ქართულ თეატრში ნახევარი საუკუნის მოღვაწეობის მანძილზე პავლე ფრანგიშვილს სხვადასხვა სცენაზე განსახიერებული აქვს 130-მდე როლი და დადგმული აქვს 150-ზე მეტი სპექტაკლი, რომელთა შორის აღსანიშნავია „რღვევა“, „სამშობლო“, „ღალატი“, „ვასა ჟელეზნოვა“, „ოტელო“, „ოიდიპოს მეფე“, „ჩაძირული ქვები“, „პატარა კახი“.

პარტიამ და მთავრობამ დიდად დააფასეს მისი ღვაწლი და დამსახურება ქართული თეატრალური ხელოვნების სარბიელზე და დააჯილდოეს იგი შრომის წითელი დროშის ორი ორდენით და მედლებით.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების დაარსების დღიდან პავლე ფრანგიშვილი იყო მისი პრეზიდიუმის წევრი და ხელმძღვანელობდა საზოგადოების რწმუნებულთა საბჭოს მუშაობას.

ნიჭიერი შემოქმედის, თეატრის ღვაწლმოსილი მსახურის, საუკეთესო მეგობრის ნათელი ხსოვნა მარად დაუვიწყარი იქნება.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო
საქართველოს თეატრალური საზოგადოება

ჩვენი სტუმრები

პოლონელი ჟურნალისტები თბილისში

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის მოწვევით თბილისში იმყოფება პოლონელ ჟურნალისტთა დელეგაცია.

გუშინ, 23 აპრილს ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი შეხვდა პოლონელ ჟურნალისტებს და დელეგაციის ხელმძღვანელს თადეუშ ლუთოგნევსკის მიმართა რამდენიმე კითხვით.

— რა მიზანს ემსახურება თქვენი ჩამოსვლა?

— ჩვენი დელეგაციის მიზანია უფრო ახლოს გავეცნოთ საბჭოთა კავშირის ჟურნალისტთა კავშირის სექციების მუშაობას. პოლონეთში სექციების მაგვარი დარგობრივი კლუბები გვაქვს. ამას წინათ პოლონეთში იმყოფებოდა თქვენი ქვეყნიდან ჩამოსული ჟურნალისტთა ერთი ჯგუფი. ისინი გაეცნენ ჩვენი კლუბების მუშაობას. ამჟამად ჩვენ, ასე ვთქვათ, საპასუხო ვიზიტით ჩამოვედით. უკვე გავეცანით მოსკოვის, ლენინგრადის, აგრეთვე საქართველოს ჟურნალისტთა კავშირების მუშაობას.

— რა ნახეთ თბილისში და როგორია თქვენი შთაბეჭდილება?

— ჩვენ პირველად ვეწვიეთ საქართველოს და უნდა გითხრათ, რომ მოხიბლული ვართ თქვენი ლამაზი დედაქალაქით და, რაც მთავარია, ადამიანებით. აქ ძალიან გულთბილად მიგვიღეს. საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრეზიდიუმმა მოგვიწყო შეხვედრა ქართველ ჟურნალისტებთან და გაგვაცნო მათი სექციების მუშაობა. დავათვალიერეთ თბილისის ღირსშესანიშნავი ადგილები, ახალმშენებლობანი, ვიყავით მუზეუმებში, ვნახეთ საქართველოს მხატვართა საგაზაფხულო გამოფენა, ვეწვიეთ რამდენიმე მხატვარს სახელოსნოში.

რუსთაველის თეატრში დავესწარით სპექტაკლ „მეფე ლირს“. სპექტაკლმა საერთოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მოგვეწონა როგორც რეჟისორისა და მხატვრის, ისე კომპოზიტორის ნამუშევარი და, რაც მთავარია, თვით მეფე ლირის შემსრულებელი, ლენინური პრემიის ლაურეატი სერგო ზაქარიაძე. ჩვენ საშუალება მოგვეცა დავსწრებოდით მისალმებას, რომელიც ამ დღეს თეატრში გაიმართა სერგო ზაქარიაძის პატივსაცემად მისთვის უმაღლესი ჯილდოს — ლენინური პრემიის ლაურეატობის მიკუთვნებასთან დაკავშირებით.

სერგო ზაქარიაძის მონაწილეობით „ჯარისკაცის მამას“ კარგად იცნობენ პოლონეთში. ამ ფილმს გულთბილად შეხვდა ჩვენი მაყურებელი და შეიყვარა მის მიერ განსახიერებული უბრალო გლეხი მახარაშვილი.

24 აპრილს მივემგზავრებით ერევანში, შემდეგ დავბრუნდებით მოსკოვში და იქიდან კი სამშობლოში.

სურათზე: პოლონელი ჟურნალისტები (მარცხნიდან მარჯვნივ) გ. ულოვიჩ-დემბიცკა, თ. ლუთოგნევსკი, ი. სლიპინსკა, ხ. ადამჩიკი და ლ. ველიუნსკი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

დისერტაციების დაცვა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 36)

4 მაისს 2 საათზე № 59 აუდიტორიაში **ბორის ზაქარიას-ძე ფაფაქერაშვილი** ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: „მოუხდელი რძისა და ბოსტნეულის წარმოების გადიდებისა და გაიაფების რეზერვები ქალაქების თბილისისა და რუსთავის გარეუბნის სოფლის მეურნეობის ზონაში (მარნეულის რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მაგალითზე)“.

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 11)

4 მაისს 2 საათზე № 1 აუდიტორიაში **გივი ვარლამის-ძე მაცაბერიძე** ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: „აღმოსავლეთ საქართველოს მიკრომამალიების ჰელმინთები (ფაუნა, ეკოლოგია, ზოოგეოგრაფია)“.

4 მაისს 4 საათზე № 1 აუდიტორიაში **ელენე ნიკოლოზის ასული ახვლედიანი** ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: „ამიერკავკასიის ჩვეულებრივი მემინდვრიის (Microtus arvalis transcaucasicus Ogn) ბიოლოგიის თავისებურებებისა და მღრღნელთა ტიფის ბაქტერიებისადმი მისი მიმღებლობის შესწავლისათვის საქართველოს პირობებში“.

11 მაისს 4 საათზე № 1 აუდიტორიაში **ხედა არტემის ასული ოსიპოვა** ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: „საფუარა ორგანიზმების B_1, B_{12} და C ვიტამინების ცვლა არესთან ყურძნის წვენის დუღილის პროცესში“.

11 მაისს 2 საათზე **ეთერ ერასტის ასული ტოროტაძე** ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: „სასულეს ეპითელიუმის ჰისტოგენეზი და მისი ცვლილებები ზოგიერთი დაავადების დროს“.

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 3)

11 მაისს 12 საათზე ქიმიის დიდ აუდიტორიაში **დემურ აკაკის-ძე ლორთქიფანიძე** ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: „საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა მხატვრული ლიტერატურის იდეურ სიწმინდისათვის“ (1921-1925 წწ).

11 მაისს 2 საათზე ქიმიის დიდ აუდიტორიაში **თეიმურაზ ანდრიას-ძე საყვარელიძე** ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: „XII საუკუნის ქართული ჭედური ხელოვნების ისტორიიდან“.

11 მაისს 2 საათზე № 89 აუდიტორიაში **ჯანსულ ტიტეს-ძე კორძაია** ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: „ნახტომის რაობის შესახებ.

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

„დინამოს“ სტადიონი

აკ. წერეთლის პროსპ. № 2
ტელ. 5-21-62
26 აპრილს

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობის გათამაშება „ა“ კლასის I ჯგუფის გუნდებს შორის

„ტორპედო“ ქუთაისი — „დინამო“ თბილისი

ძირითადი შემადგენლობანი

დასაწყისი 18 საათზე.

ბილეთები ყველა სახის აბონემენტებზე წინასწარ გაიყიდება „დინამოს“ სტადიონის სალაროებში 24 და 25 აპრილს 12-დან 19 საათამდე, შესვენება 14-დან 15 საათამდე. ბილეთების საერთო გაყიდვა 26 აპრილს დილის 10 საათიდან.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

თეატრები

24 აპრილი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — სინათლე (დღისით), ბორის გოდუნოვი (საღამოს პრემიერა), **რუსთაველის სახელობის დიდი დარბაზი** — მეტეხის ჩრდილში (დღისით და საღამოს პრემიერა), **რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი** — ჭინჭრაქა (დღისით), შეხვედრა (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — დედა (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — კეისარი და კლეოპატრა (დღისით და საღამოს), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — რაც გინახავს, ველარ ნახავ (დღისით), უცნაური მკვლელობა (საღამოს).

ტელევიზია

24 აპრილი

10.00 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტებისათვის — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.40 — გადაცემები მოსწავლეთათვის — მცხეთის მუსიკალური სკოლის მოსწავლეთა კონცერტი, 12.00 — მხატვრული ფილმი „არაჩვეულებრივი ქალაქი“, 16.55 — გადაცემათა პროგრამა, 17.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.30 — კინონარკვევი, 17.40 — კონცერტი მაყურებელთა თხოვნით, 18.25 — საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში საბჭოთა კავშირი-ავსტრია (გადმოცემა ვენიდან), 20.25 — „ჯარისკაცის მამა“, 21.55 — საესტრადო სატელევიზიო ალმანახი „სალაღობო“.

25 აპრილი

11.00 — კინონარკვევი, 11.20 — მხატვრული ფილმი „ჯარისკაცის მამა“, 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — ბავშვებისათვის — „საბავშვო მოთხრობები“, 18.20 — მოსწავლეთათვის — „მუსიკალური საკრავები“ — ვიოლინო, 18.45 — განცხადებები, 18.50 — კინონარკვევი, 19.00 — „სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებები მოქმედებაში“ — მეტი ხორცი, რძე, ბოსტნეული მოსახლეობას, 19.20 — კინონარკვევი, 19.40 — მშობელთა ტელეუნივერსიტეტი — „მოზარდი თაობის ესთეტიკური აღზრდის ზოგიერთი საკითხი“, 20.00 — მხატვრული პროგრამა, 22.00 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 22.30 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე).

მეცხრე არხზე — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა — დილით 12 საათიდან; საღამოს 17 ს. 55 წ.

კინო

24 აპრილი

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი — **ლენინი პოლონეთში,** ისანი — **რკინის ნიღაბი,** ამირანი — **მიაეკიულელი მერძევე,** საქართველო (წითელი დარბაზი) — **მდივანი ქალი,** 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი) — **პიტკინის ფათერაკები საავადმყოფოში,** საქართველო (მწვანე დარბაზი) — **ლიმონათის ჯო,** თბილისი — **კვალი თოვლზე,** კომკავშირელი, ნაკადული — **შუაღამის ამბორი,** კოლხიდა, ბათუმი, 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი), გაზაფხული — **სისხლიანი პერანგი.**

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი

თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 9-93-09, პ/მგ მდივნის — 9-72-80. სამდივნოსი — 9-66-10 განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61, პროპაგანდის — 3-22-98, მრეწველობის — 3-20-34, სოფლის მეურნეობის — 9-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 3-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 3-16-90. უცხოეთის — 3-15-68, წერილების — 9-73-24, ილუსტრაციის — 3-28-54, განცხადებების — 3-93-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 04928 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.